პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 238 (11242)
სამშაბათი
14
ოქტომბერი
1958 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ყაზახეთის კომუნისტური პარტიის პავლოდარის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ პავლოდარის ოლქის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა და ყველა მშრომელმა მოიპოვეს დიდი წარმატებანი მარცვლეულის წარმოების გადიდებაში და პირნათლად შეასრულეს მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი — სახელმწიფოს მიჰყიდეს 155 მილიონი ფუთი პური, ანუ თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე 1958 წლის გეგმით იყო გათვალისწინებული. მარცვლეული კულტურების საშუალოდ ერთ ჰექტარ ნათესზე სახელმწიფოს მიეყიდა 8,8 ცენტნერი პური.

პურის ასეთი რაოდენობა ოლქს შეეძლო ეწარმოებინა და ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის უამრავი და ნასვენი მიწების წარმატებით ათვისების მეოხებით. უკანასკნელ წლებში ოლქმა აითვისა 2 მილიონ 700 ათასი ჰექტარი უამრავი და ნასვენი მიწები, რომლებზეც მოწყობილია მძლავრი სახოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვილი ათობით დიდი საბჭოთა მეურნეობა.

ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელთა დიდი წარმატებანი მათი თავდადებული შრომისა და იმის შედეგია, რომ ისინი ახორციელებენ სოფლის მეურნეობის კკეთილი ალმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს. ოლქში დიდი მუშაობა განხორციელდა პარტიულ, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების კადრების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების, ბრიგადირების, ხელოსნებისა და სხვა კვალიფიციურ კადრებისა ორგანიზაციებისა და აღზრდისათვის.

დიდად აფასებენ რა სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებულ შრომას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებით, პავლოდარის ოლქი დაჯილდოვა ლენინის ორდენით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ პავლოდარის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებს მარცვლეულის წარმოების გადიდების საქმეში მიღწეულ წარმატებებს. მთავრობის მაღალ ჯილდოს და გამოთქვამენ რწმენას, რომ ოლქის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და ყველა მშრომელი არ დაიშურებენ ძალღონეს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის, რაც ძვირფასი წვლილი იქნება ჩვენი ხალხის ბრძოლაში იმისათვის, რომ შეიქმნას ხურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა — მსუბუქი მრეწველობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის მრეწველობის მიერ 1958 წლის III კვარტალში სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სსრ კავშირის მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა 1958 წლის III კვარტალში შეასრულა 102 პროცენტით. 1958 წლის ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1958 წლის ცხრა თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 10 პროცენტით.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა როგორც მთლიანი პროდუქციის, ისე მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის ცხრა თვის გეგმა. ცხრა თვის გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ყველა სახალხო მეურნეობის საბჭომ, გარდა კამჩატკის, იარაგანდის, ბუხარის, იარა-ყალპაქეთის, სამარყანდისა და ფერგანის სახალხო მეურნეობის საბჭოებისა.

სახელმწიფო მრეწველობის ცალკეულ დარგებში მთლიანი პროდუქციის ზრდა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1958 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1957 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით
შავი და ფერადი მეტალურგია	109
სათბობისა და ენერგეტიკული მრეწველობა	110
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	114
ქიმიური და რეზინის მრეწველობა	112
საშენ მასალათა მრეწველობა	125
ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობა	110
მსუბუქი მრეწველობა	106
კვების მრეწველობა	104

1958 წლის ცხრა თვეში უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1958 წლის ცხრა თვეში გამოშვებულია	1958 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1957 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით
თუჯი — მილიონობით ტონა	29,1	106
ფოლადი — მილიონობით ტონა	40,8	108
ნაგლინი — მილიონობით ტონა	31,9	108
ფოლადის მილები — მილიონობით ტონა	3,4	108
კოქსი — მილიონობით ტონა	37,8	105
რკინის მადანი — მილიონობით ტონა	66,1	106
ქვანახშირი — მილიონობით ტონა	371	108
ნავთობი — მილიონობით ტონა	83,4	116
ბუნებრივი გაზი — მილიარდობით კუბური მეტრი	19,9	157
ელექტროენერგია (რაიონული ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიარდობით კილოვატსაათი	145	113
მინერალური სასუქები — მილიონობით ტონა	9,2	107
კალცინირებული სოდა — მილიონობით ტონა	1,3	106
გოგირდის მჟავა — მილიონობით ტონა	3,5	105
ავტომობილის საბურველები — მილიონობით ცალი	10,6	113
100 კილოვატზე მეტი სიმძლავრის ელექტროძრავები — ათასობით ცალი	11,9	113
ლითონსაჭრელი ჩარხები — ათასობით ცალი	105	103
ავტომობილები — ათასობით ცალი	384	103
ტრაქტორები — ათასობით ცალი (ფიზიკური ერთეულები)	165	109
ტრაქტორის გუთნები — ათასობით ცალი	118	130
ტრაქტორის სამკალები — ათასობით ცალი	54,5	174
მაგისტრალური თბომავლები — ცალი	494	187
მაგისტრალური ელმავლები — ცალი	265	135
მაგისტრალური სატვირთო ვაგონები — ათასობით ცალი	30,5	109
სამასალე მერქნის გამოზიდვა (გარდა კოლმეურნეობებისა და წვრილი ხე-ტყის დამამზადებლების გამოზიდვისა) — მილიონობით კუბური მეტრი	163	107
ცემენტი — მილიონობით ტონა	24,4	115
შიფერი — მილიარდობით პირობითი ფილა	1,8	110
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — მილიონობით კუბური მეტრი ნაკეთობა	13	137
ფანჯრის მინა — მილიონობით კვადრატული მეტრი	98	112
ხელოვნური და სინთეზური ბოჭკო — ათასობით ტონა	122	113
ბამბის ქსოვილები — მილიარდობით მეტრი	4,3	104
შალის ქსოვილები — მილიონობით მეტრი	225	107
სელის ქსოვილები — მილიონობით მეტრი	358	114
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონობით მეტრი	633	105
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონობით წყვილი	263	112
მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასობით ცალი	293	119
ყველა სახეობის საათები — მილიონობით ცალი	18,4	104
რადიომიმღებები — მილიონობით ცალი	2,9	110
ტელევიზორები — ათასობით ცალი	711	138
საყოფაცხოვრებო მაცივრები — ათასობით ცალი	265	118
ქაღალდი — მილიონობით ტონა	1,7	106
ფხვნილი შაქარი — მილიონობით ტონა	2,3	139
ხორცი (კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინაური წარმოების ჩაუთვლელად და მიმწოდებელთა ნედლეულის ჩაუთვლელად) — მილიონობით ტონა	1,7	110
თევზი (სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების მრეწველობაში) — მილიონობით ტონა	2,3	104
კონსერვები (სახალხო მეურნეობის საბჭოების და ადგილობრივი საბჭოების მრეწველობაში) — მილიარდობით პირობითი ქილა	2,8	107
კარაქი, ყველი და რძის სხვა პროდუქტები რძეზე გადაანგარიშებით (კოლმეურნეობათა წარმოებისა და მოსახლეობის საშინაო წარმოების ჩაუთვლელად) — მილიონობით ტონა	18,3	105
მოუხდელი რძის პროდუქცია — მილიონობით ტონა	4,8	116
საპონი — მილიონობით ტონა	1,0	102

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1958 წლის ცხრა თვეში წარმოებულია მეტი: თუჯი — 1 მილიონ 577 ათასი ტონა, აქედან გეგმის გადამეტებით — 376 ათასი ტონა, ფოლადი — თითქმის 3 მილიონი ტონა, აქედან გეგმის გადამეტებით — 850 ათასი ტონა, ნაგლინი — 2 მილიონ 400 ათასი ტონა, აქედან გეგმის გადამეტებით — 830 ათასი ტონა, ქვანახშირი — 26 მილიონი ტონა, აქედან გეგმის გადამეტებით — 5,9 მილიონი ტონა, ნავთობი 11,4 მილიონი ტონა, აქედან გეგმის გადამატებით — 1,4 მილიონი ტონა, მინერალური სასუქები — 564 ათასი ტონა, აქედან გეგმის გადამეტებით — 436 ათასი ტონა, ცემენტი — 3 მილიონ 254 ათასი ტონა, აქედან გეგმის გადამეტებით — 259 ათასი ტონა.

გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ფოლადის მილების კოქსის წარმოების, რკინისა და მანგანუმის მადნის მოპოვების, რაფინირებული სპილენძის, ალუმინის, ტყვიის, თუთიის, კალის, მაგნიუმის, ნიკელის, ელექტროენერგიის, ბენზინის, დიზელის სათბობის, საწვავი მაზუთის, კაუსტიკური და კალცინირებული სოდის, გოგირდის მჟავის, სინთეზური ამონიუმის, კაუჩუკის, ავტომობილის საბურველების, ორთქლის ტურბინების, ლითონსაჭრელი ჩარხების, სამქელდლო-საწნეხე მანქანების, ავტომობილების, ტრაქტორების, ტრაქტორის გუთნების, სატვირთო მაგისტრალური ვაგონების, ფანჯრის მინისა და მძიმე მრეწველობის მრავალი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმა.

გადაჭარბებით შესრულდა ფართო მოხმარების საქონლის: ბამბის, შალის, სელისა და აბრეშუმის ქსოვილების, ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს, ტყავის ფეხსაცმლის, ტელევიზორების, ქაღალდის, შაქრის, ხორცის, თევზის, საკონდიტრო ნაწარმის, ჩაის, საპნისა და სხვა საქონლის წარმოების გეგმა.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია მეტი: ქსოვილები — 237 მილიონი მეტრი, ტყავის ფეხსაცმელი — 28 მილიონი წყვილი, ფხვნილი შაქარი — 645 ათასი ტონა, თევზი — 78 ათასი ტონა. მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო რესურსების ზრდის შედეგად ცხრა თვეში მოსახლეობას მიეყიდა მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, ხორცი—186 ათასი ტონა, კარაქი და რძის სხვა პროდუქტები რძეზე გადაანგარიშებით — 1 მილიონ 750 ათასი ტონა.

თუმცა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმა, მაგრამ ვერ შესრულდა მეტალურგიული მოწყობილობის, 100 კილოვატზე მეტი სიმძლავრის ელექტროძრავების, მაგისტრალური თბომავლების, შიფერისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა.

მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1958 წლის ცხრა თვის მანძილზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 5,6 პროცენტით. მრეწველობაში მუშათა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შესრულდა.

გადაჭარბებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე ხარჯების დონის 1958 წლის ცხრა თვისათვის დაწესებული დავალებანი. მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ზეგეგმითი ეკონომია 1958 წლის ცხრა თვეში შეადგენს დაახლოებით 8 მილიარდ მანეთს.

მრეწველობის სასაქონლო შესადარის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება შესადარ ფასებში გასულ წელთან შედარებით, წინასწარი მონაცემებით, შეადგენს დაახლოებით 3 პროცენტს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

„პრავდის“
13-X მოწინავე.

ჩვენ, საბჭოთა თეატრალური ხელოვნების მუშაკები — მსახიობები, დრამატურგები, რეჟისორები და კრიტიკოსები, რომლებიც შევიკრიბენით სრულიად საკავშირო თეატრალურ კონფერენციაზე, დიდი და გულითადი მადლობის გრძნობით მივმართავთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა თეატრის მუშაკთა კონფერენციისადმი კიდევ ერთი გამოვლინებაა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის შთამაგონებელი ზრუნვისა საბჭოთა ხელოვნებისათვის, იმისათვის, რომ იგი ყოველი თავისი ნაწარმოებით, ყოველი სცენური სახით ემსახურებოდეს ყველაზე ნათელ კომუნისტურ იდეალებს, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას. ცენტრალური კომიტეტის ეს მუდმივი ყურადღება საბჭოთა თეატრს, დრამატურგებს და თვითეულ ჩვენგანს მატებს ახალ ძალებს იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებსაც სახავს საბჭოთა ხალხის ცხოვრება, მისი დაუცხრომელი ბრძოლა კომუნიზმისათვის.

კომუნისტური მშენებლობის დიდებულ პროგრამას, რომელსაც განიხილავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა, ჩვენი ქვეყანა აჰყავს ეკონომიური ძლიერებისა და სულიერი აყვავების ახალ საფეხურზე. ბრძოლა პარტიის მიერ დასახულ დიადი და წარმტაცი გეგმების შესრულებისათვის ყოველი საბჭოთა ადამიანის საქმეა. შრომითი ცხოვრების შექმნის მსვლელობაში, პარტიის მრავალფეროვანი იდეოლოგიური მუშაობის გავლენით იზრდება ახალი ადამიანი და მისი ახალი მორალი. თანამედროვე ხალხური ხასიათი არის მოქალაქეობრივი მგზნებარებისა და დიდი მიზანსწრაფვის განსახიერება, შინაგანი სამყაროს სულიერი სიმდიდრე, ზნეობრივი სილამაზე, საქმეების შთაგონებულობა და მტკიცე შეურიგებლობა ყოველივე მტრულისადმი, ყველაფრისადმი, რაც ხელს უშლის კომუნიზმის შენებას. ამ ხასიათის მრავალმხრივად და მკაფიოდ განხორციელება დრამისა და სცენის სახეებში არა მარტო ჩვენი მოვალეობაა, არამედ აგრეთვე ჩვენი მოწოდება, ჩვენი სულისა და გულის მოთხოვნილებაა.

საბჭოთა დრამატურგებს, თეატრების მუშაკებსა და კრიტიკოსებს ესმით, რომ მხოლოდ ჩვენი დიადი დროის გენერალური თემისადმი — თანამედროვეობის თემისადმი — მიმართვით ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ ვაკავშირებთ მხატვრულ შემოქმედებას ხალხის ცხოვრებასთან. თანამედროვეობის თემაზე მუშაობა ამდიდრებს ყოველი მხატვრის იდეებსა და მხატვრულ საშუალებებს.

პარტიის დადგენილებებმა იდეოლოგიის საკითხებზე, ისტორიული XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა, პარტიის ხელმძღვანელთა შეხვედრებმა და საუბრებმა ხელოვნების მოღვაწეებთან, პარტიულმა დოკუმენტმა „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“ მრავალი წლით განსაზღვრეს საბჭოთა ხელოვნების განვითარების გზები. ჩვენთვის ძვირფასია პარტიის მოწოდებები: უფრო ახლოს თანამედროვეობასთან, მეტი ძიება და შემართება მხატვრულ შემოქმედებაში! ჩვენთვის ძვირფასია პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა იმისათვის, რომ კრისტალურად ნათელი და წმინდა იყოს საბჭოთა მხატვრის იდეური სამყარო, რომ მას არ ამღვრევდეს არავითარი ინდივიდუალისტური და რევიზიონისტული გავლენა, რომ საბჭოთა ხელოვნება მტკიცედ მიდიოდეს სოციალისტური რეალიზმის გზით.

სოციალისტური რეალიზმი, რომელიც აერთიანებს საბჭოთა ხელოვნების ყველა მოღვაწეს საერთო იდეურ-ესთეტიკურ პლატფორმაზე, უფართოეს გასაქანს აძლევს შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინებას, მხატვრული ფორმების, ჟანრებისა და სტილების მრავალფეროვნებას, მხატვართა თავისუფალ და შთაგონებულ შემოქმედებას, რომელნიც ხალხს ემსახურებიან რწმენით, გულის მოწოდებით.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა თეატრალური საქმის ორგანიზაციაში — თეატრების მართვის დეცენტრალიზაცია; მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭება რეპერტუარის არჩევაში; სამხატვრო საბჭოების როლის გაძლიერება, შემოქმედებითი შემადგენლობის ტარიფიკაცია — ყოველივე ამან ნაყოფიერი გავლენა მოახდინა საბჭოთა თეატრის ცხოვრებაზე.

ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბჭოთა თეატრის საერთაშორისო გავლენა. მეტი საბჭოთა პიესა იდგმება უცხოეთის სცენაზე, საზღვარგარეთ საყოველთაოდ აღიარებულია ჩვენი თეატრალური კოლექტივების გასტროლების წარმატება.

მიუხედავად ჩვენი საბჭოთა თეატრის დიდი წარმატებებისა, იგი ჯერ კიდევ ვალშია ხალხთა წინაშე, მის რეპერტუარში ჯერ კიდევ ცოტაა ნაწარმოებნი მუშათა კლასის დიდი შემოქმედებითი შრომის შესახებ, ჩვენი ახალგაზრდობის საგმირო საქმეების შესახებ, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა შესახებ, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის ადამიანთა შესახებ.

ჩვენ, საბჭოთა თეატრალური ხელოვნების მუშაკები, სრულიად საკავშირო თეატრალური კონფერენციის ტრიბუნიდან ვაძლევთ დაპირებას ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ მთელ ჩვენს შემოქმედებითს ძალებს მოვახმართ ისეთ ნაწარმოებთა შექმნას, რომლებიც მართლად და მკაფიოდ ასახავენ ჩვენი საბჭოთა ადამიანის საქმეებსა და გმირობას.

ჩვენს ნიჭსა და შემოქმედებითს ინიციატივას მოვახმართ გაბედულ, ნაყოფიერ ძიებას, დიადი საქმეებით მდიდარი ჩვენი თანამედროვეობის იდეებისა და სახეების ცოცხალ სცენურ განსახიერებას.

ყურადღებით მოვეპყრობით ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას: დრამატურგებს, რეჟისორებს, მსახიობებს, მხატვრებს და დავეხმარებით მათ გაიზარდონ ახალ დიდ ოსტატებად. საერთო ღონისძიებებით, შთაგონებული შრომით ჩვენ, მრავალეროვანი საბჭოთა ხელოვნების მუშაკები, ჩვენი მშობლიური პარტიის მოწოდებით აღფრთოვანებულნი, შევქმნით ჩვენი მძლავრი ხალხის შესაფერის ახალ ნაწარმოებებს, რომლებიც ისტორიაში დარჩება როგორც კომუნიზმის გზაზე დამდგარი ჩვენი საზოგადოების დიდებული შემოქმედებითი გარდაქმნის მხატვრული ძეგლები.

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ საბჭოთა ხალხს — კომუნისტური საზოგადოების მშენებელს, ყველა ადამიანის ბედნიერებისათვის, ჩვენს პლანეტაზე მშვიდობისათვის მებრძოლს!

თეატრების მუშაკთა, დრამატურგთა და თეატრალურ კრიტიკოსთა სრულიად საკავშირო კონფერენცია

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ყაზახეთის სსრ პავლოდარის ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი წარმატებებისათვის, რომლებიც ყაზახეთის სსრ პავლოდარის ოლქის მშრომელებმა მოიპოვეს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში, 1958 წელს სახელმწიფოსათვის 155 მილიონი ფუთი პურის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ყაზახეთის სსრ **პავლოდარის ოლქი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1958 წლის 11 ოქტომბერი.

დაიხუჭა სრულიად საკავშირო თეატრალური კონფერენცია

11 ოქტომბერს მოსკოვში დამთავრდა თეატრების მუშაკთა, დრამატურგთა და თეატრალურ კრიტიკოსთა სრულიად საკავშირო კონფერენცია.

საბოლოო სხდომაზე გამოვიდნენ მ. ცარევი (მოსკოვი), ა. ისკენდეროვი (აზერბაიჯანის სსრ), გ. მუხთაროვი (თურქმენეთის სსრ), ე. ვოსტოკოვი (საბჭოთა არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველო).

კონფერენციაზე საბოლოო სიტყვები წარმოთქვეს ნ. მიხაილოვმა და ბ. ლავრენიოვმა.

მთელი დარბაზის მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს წერილის ტექსტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღეისო თემაზე

ოქტომბერი საშემოდგომო თესვის გადამწყვეტი თვეა

ახლა სოფლად მიმდინარეობს ნაადგილარის აღება და დაბინავება. მოხავლის აღებასთან ერთად კოლმეურნეები და მექანიზატორები საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს, აწარმოებენ საშემოდგომო კულტურების თესვას.

ბევრგან საშემოდგომო ხვნა-თესვის აგროტექნიკური ვადებში დასამთავრებლად ხელსაყრელად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს. ამ მხრივ აღსანიშნავია წითელწყაროს რაიონის წარმატება. აქ წელს პირობა დადეს საშემოდგომო კულტურების თესვა 28.944 ჰექტარზე აგროწესებით ჩაატარონ. ვალდებულების ანგარიშში უკვე დათესეს 15.650 ჰექტარი.

ყოველდღიურად ძლიერდება თესვის ტემპი სიღნაღის რაიონში, რომელმაც საშემოდგომო კულტურები დათესა 9.851 ჰექტარზე.

ოქტომბერი საშემოდგომო თესვის გეგმის შესრულებაში გადამწყვეტი თვეა. ხამწუხაროდ, ყველგან როდი ითვალისწინებენ ამას. განა შეიძლება მოითმინო, რომ ლაგოდეხის რაიონში 10 ოქტომბრისათვის საშემოდგომოდ დათესილი ჰქონდათ მხოლოდ 2.444 ჰექტარი, რაც გეგმის 21,4 პროცენტს შეადგენს? ამ მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც თეთრი წყაროს, ბოლნისის და სხვა რაიონებშია. არის ფაქტები, რომ ზოგან ცუდად იყენებენ მძლავრ ტექნიკას. ეს პირველ რიგში ითქმის სტალინირის რაიონის სოფელ ჭსუისის კოლმეურნეობის შესახებ. აქ საკოლმეურნეო ტექნიკა ღია ცის ქვეშ უპატრონოდ მიმოფანტულია. „კდ-35“ მარკის ტრაქტორმა შესყიდვის დროიდან, რის შემდეგ თითქმის 7 თვე გავიდა, მოხნა მხოლოდ 30 ჰექტარი, მის შემდეგ ტალახში დგას. ყოველივე ეს რატომღაც არ აღელვებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. დოგუზოვს. საინტერესოა იციან თუ არა ამის შესახებ პარტიის სტალინირის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომში.

მეცნიერება გვასწავლის, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის შემდგომი ზრდა დიდად არის დამოკიდებული თესვისათვის საჭირო თესლის დროულად მომზადებაზე. მაღალხარისხოვანი თესლი უხვი მოსავლის მიღების ხაიმედო პირობაა. ზოგიერთ რაიონში კი ამას როდი ითვალისწინებენ და თესვის ამ გაცხარებულ დღეებში აგვიანებენ ნათესლე მახალის ხათეს კონდიციამდე აყვანას. ეს პირველ რიგში შეეხება ადიგენის რაიონს. აქ წელს საშემოდგომო კულტურების დასათესად საჭიროა სულ მცირე 4.038 ცენტნერი თესლი. მაგრამ ამ დავალების შესასრულებლად რაიონში რატომღაც ნაკლებად იწუხებენ თავს, აქ 2.525 ცენტნერი თესლი სიწმინდით უკონდიციოა. საშემოდგომო კულტურების თესლის მომარაგების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე თელავის, ბორჯომის, თეთრი წყაროს, ონის, ჭიათურისა და ზოგიერთ სხვა რაიონებში.

თესლის მომარაგების მხრივ ასეთი ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ ამ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები კვლავ ვერ იჩენენ ოპერატიულობას, არადამაკმაყოფილებლად ეწევიან ორგანიზატორულ მუშაობას სოფლად. ზოგან საშემოდგომო თესვისათვის თესლის მომზადება ნაადრევადაც კი მიაჩნიათ (!). ოქტომბერი წყვეტს საშემოდგომო თესვის ბედს, ახლა ყოველი წუთი ძვირფასია. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა ორგანოებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ყოველი ღონისძიებით უნდა უზრუნველყონ საშემოდგომო კულტურების დასათესად თესლის მომარაგების საქმეში ჩამორჩენის დაძლევა.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ვალდებული არიან უშუალოდ იმყოფებოდნენ მინდვრად და ეხმარებოდნენ კოლმეურნეებს, მექანიზატორებს თესვის საუკეთესოდ ჩატარებისათვის.

ამ დღეებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გადატანილ უნდა იქნას მინდვრად. საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშობის ყველა ნაცადი მეთოდი. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ვალია სათავეში ჩაუდგნენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა პატრიოტულ აღმავლობას პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის.

ს. გ. შაუმიანის ხსოვნისათვის

საქართველოს მშრომელნი პატივს სცემენ ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფის, კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწის სტეფანე გიორგის-ძე შაუმიანის ხსოვნას. მისი დაბადების 80 წლისთავის გამო რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ეწყობა ლექციები, მოხსენებანი, საუბრები, მიძღვნილი კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლის რევოლუციური მოღვაწეობისადმი.

საქართველოში ბევრი სამახსოვრო ადგილია დაკავშირებული ს. გ. შაუმიანის სახელთან. მის სახელს ატარებს რესპუბლიკის ერთ-ერთი დაბა, საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი დიდი მაგისტრალი. ამას წინათ ყოფილი რეალური სასწავლებლის შენობაზე, სადაც 1889-1898 წლებში სწავლობდა ს. გ. შაუმიანი და სახლზე, სადაც იგი დროდადრო ცხოვრობდა 1901-1918 წლებში, დადგმულია მემორიალური დაფები.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ქართულ ენაზე უშვებს მოკლე ბიოგრაფიულ ნარკვევს ს. გ. შაუმიანის შესახებ, რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ს. ჩხარტიშვილი. (საქდესი).

პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად

★

მოწინავეთა რიგებში

როცა ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგა, მტკიცედ გადაწყვიტა უახლოეს დროში დაეფარა მიმდინარე წლის დასაწყისში სუსტი მუშაობით გამოწვეული პროდუქციის დანაკლისი და გამოეშვა ფეხსაცმელი გეგმის გადამეტებით.

ამ მიზნით ფაბრიკის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ბევრი კარგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება განახორციელეს. კერძოდ, გაფართოვდა და გაუმჯობესდა საშრომი მეურნეობა, დაყენეს რამდენიმე ახალი დაზგა, რითაც საგრძნობლად ამაღლდა მექანიზაციის დონე; ჩამოყალიბდა კომკავშირული საამქრო, რომელიც უშვებს ბავშვის ფეხსაცმელს; აშენდა მექანიკური სახელოსნო.

ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ფაბრიკის კოლექტივმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესა საწარმოო მაჩვენებლები, გადაჭარბებით გაანაღდა 9 თვის დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 2.300 წყვილი ფეხსაცმელი. ახლა ბათუმელი მეფეხსაცმელეები ყოველდღიურად უშვებენ 2 ათას წყვილ ფეხსაცმელს. გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხიც.

გეგმას ყველა საამქრო, ბრიგადა და მეფეხსაცმელე ასრულებს. განსაკუთრებით დაწინაურდა ბავშვის ფეხსაცმლის გამომშვები კომკავშირული საამქროს კოლექტივი (საამქროს უფროსი კომკავშირელი ფ. დასამიძე). საამქრომ გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათასობით ფეხსაცმელი.

უახლოეს დღეებში ფაბრიკა დაიწყებს შემოდგომა-ზამთრის სეზონის ფეხსაცმლის გამოშვებას. (ხაკ. კორ.).

პროდუქტები გეგმის გადამეტებით

პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულეს სოფელ აგარა-უყეშის კუნიბიშვილის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა (ფერმის გამგე კომუნისტი ვ. ბიბილაშვილი). მათ ჯერ კიდევ 1 ოქტომბრისათვის თვითეულ ძროხაზე წლიური გეგმის გადამეტებით 149 ლიტრი რძე მიიღეს. წველადობის წლიური დავალება გაანაღდეს აგრეთვე სოფლების მეხლის, ძარაგეულის, ამბროლაურის, სადმელის, გორისუბნის, ხვანჭკარის, ჭრებალოს, ფხმორის და სხვა კოლმეურნეობებმა.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმების ვადაზე ადრე განაღდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ინიციატორად გამოვიდა სოფელ წესის მშრომელთა დეპუტატების საბჭო (თავმჯდომარე ა. გამყრელიძე). აქ ექვს თვეში შეასრულეს წლიური გეგმები.

ვ. სოხაძე,
აბბოლაურის რაიონულ გაზეთ „კომუნარის“ თანამშრომელი.

★ ★

ადამიანები და მათი საქმეები

შრომაში დავაჟკაცებული

რეპორტაჟი

ზეინკალი შოთა თომაძე იმ დილითაც ადრე მივიდა სამუშაოზე. კარადიდან ხელსაწყოების გამოღებაც ვერ მოასწრო, რომ მემანქანე ვლადიმერ პოდსტანიცკი მიუახლოვდა.

— თუ ძმა ხარ, არ დამადალატო, — მიმართა შოთას,—ჩემი ორთქმავალი „ავად“ არის, აგერ აქვე ჩამოგაყენე, ამა თქვენ იცით როგორ უმკურნალეთ...

შოთა თომაძე მეგობრებთან ერთად სამუშაოზეც საამქროს უფროსის დავალების შესრულებას შეუდგა. მოწინავე ზეინკალმა დღის ნორმა ოთხმაგად შეასრულა, ორთქლმავლის ნაწილები მადალხარისხოვნად შეაკეთა.

— ჩუმი, ერთობ სიტყვაძუნწი კაცია ჩვენი შოთა, — გვითხრა დეპოს სახელგანთქმულმა ნოვატორმა ბ. ხმიადაშვილმა, რომელიც 1975 წლის ანგარიშში იძლევა პროდუქციას. —მიხარია, რომ ზეინკალთა შეჯიბრებაში დაწინაურდა.

მართლაც, მისაბაძია შ. თომაძის ცხოვრების ნათელი გზა. სახელოვან შემოქმედებით შრომასთან ერთად იგი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, მეოთხე კურსის სტუდენტია.

ამ დღეებში მოწინავე ზეინკალმა, სტუდენტმა შ. თომაძემ სსრ კავშირის გზათა სამინისტროსაგან მიიღო სიგელი „სოციალისტურ შეჯიბრებაში წარჩინებული“. მას განსაკუთრებით ახარებს მეგობართა საწარმოო წარმატება. ასეთები დეპოში ახლა — პარტიის XXI ყრილობისათვის მზადების დღეებში ძალიან ბევრია.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის თავდადებულმა შრომამ პარტიის XXI ყრილობისა და თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. ოქტომბრის განვლილ დღეებში გეგმის ზევით აწევითი შეკეთებიდან გამოშვებულია ერთი ორთქლმავალი, ხოლო გარეცხვითი შეკეთებიდან — ხუთი, დაზოგილია 2,325 ტონა საწვავი. ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი კომუნისტ ზეინკალს შ. თომაძისაც მიუძღვის.

ა. ბოცირიძე.

* * *

სურათზე: შოთა თომაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★ ★

ვალდებულება გაანაღდეს

წალენჯიხის რაიონში ფართოდ გაჩაღდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეთა თავდადებული შრომის შედეგად გადაჭარბებით შესრულდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

კოლმეურნეობებში ბევრია ბრიგადები და რგოლები, რომლებიც ჩაის ფოთლის მაღალ მოსავალს იღებენ. ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი კომუნისტი ნ. მიქავა) 12 ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფა 6.630 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ასეთი მაგალითი მრავალია.

რაიონის 21 კოლმეურნეობა ამჟამად მილიონერია. ცალკეული კოლმეურნეობები 5-7 მილიონ მანეთ შემოსავალს იღებენ. რაიონში არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომელთა ბრიგადებიც კი მილიონერებია. მაგალითად, სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ორი ბრიგადა მილიონერია. მეორე ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელია კომუნისტი ლ. ფიფია, ყოველწლიურად მილიონ 300 ათას მანეთ შემოსავალს იღებს, ხოლო კომუნისტ კ. ძაძამიას ბრიგადა — მილიონზე მეტს. ბევრია ისეთი ოჯახი, რომლის წლიური შემოსავალი 40-45 ათას მანეთს აღწევს. სოფელ ობოჯის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობა წინა წლებში ვერ ასრულებდა საწარმოო გეგმებს. მაგრამ გასული წლის შემოდგომაზე კოლმეურნეობის გამგეობას სათავეში ჩაუდგა ენერგიული მუშაკი კომუნისტი შ. გეთია. მას შემოეგ მდგომარეობა არსებითად გარდაიქმნა. კოლმეურნეობამ ერთ-ერთმა პირველმა, 12 აგვისტოსათვის შეასრულა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის წლიური გეგმა და პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად წლიური გეგმის გადაჭარბებით მოკრიფა 50.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

სამეურნეო წელს კარგი წარმატებებით ამთავრებს წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი (დირექტორი ა. კვარაცხელია, პარტბიუროს მდივანი პ. ყურაშვილი). ამ მეურნეობაში გეგმის ზევით უკვე მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 201 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული.

რაიონის მთლიანი ვალდებულება იყო წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფა და სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა 620 ტონა ჩაი. 7 ოქტომბრისათვის ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შესრულდა.

რაიონში მეცხოველეობა წლების განმავლობაში ჩამორჩენილ, არარენტაბელურ დარგად ითვლებოდა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულმა ქმედითმა ღონისძიებებმა არსებითი გარდატეხა მოახდინა. მკვეთრად გაუმჯობესდა მეცხოველეობის საკვები ბაზა. ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების ნათესი ფართობები 1958 წელს 1953 წელთან შედარებით 1,5-2-ჯერ გადიდდა. თუ 1953 წელს კოლმეურნეობებში ჩადებული იყო 2.000 ტონა სილოსი, შარშან ჩადებულ იქნა 7.935 ტონა, ხოლო წელს დამზადდება 12.000 ტონა სილოსი.

კოლმეურნეობები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ მეაბრეშუმეობის განვითარებას. წელს წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. გეგმით გათვალისწინებული 84.200 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 94.500 კილოგრამი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი.

ახლა კოლმეურნეობებში, საწარმოებში, ბრიგადებსა და რგოლებში გაჩაღებულია პარტიის XXI ყრილობის აოსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. წლიური გეგმის გადამეტებით კვლავ იკრიფება ჩაის ნედლეული.

რაიონის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები, მშრომელები დაუდალავად იბრძვიან იმისათვის, რომ სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ მშობლიური პარტიის XXI ყრილობას, ქვეყანას მისცენ მეტი ჩაი, სიმინდი და მეცხოველეობის პროდუქტები.

შ. ხარებავა,
საქართველოს კპ წალენჯიხის რაიკომის მდივანი.

გურჯაანის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმა

გურჯაანის რაიონმა 5 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმა. ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 100,5 პროცენტით, რძისა — 100,4 პროცენტით, კვერცხისა — 100,9 პროცენტით, მატყლისა — 112,8 პროცენტით. (საქდესი).

კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე

ს. გ. შაუმიანის დაბადების 80 წლისთავის გამო

შესრულდა 80 წელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის სტეფანე გიორგის-ძე შაუმიანის დაბადებიდან.

ს. შაუმიანი დაიბადა ქ. თბილისში 1878 წლის 1 (13) ოქტომბერს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, თბილისის რეალურ სასწავლებელში სწავლის დროს იგი აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. 1895 წლიდან ს. შაუმიანი ხარბად ეწაფება მარქსისტულ ლიტერატურას და ხდება მარქსიზმის ერთ-ერთი საუკეთესო პროპაგანდისტი. ს. შაუმიანის ხელმძღვანელობით 1899 წელს სოფ. ჯალალოღლში (ამჟამად ქ. სტეფანავანი) ჩამოყალიბდა მარქსისტული წრე. ეს იყო პირველი მარქსისტული წრე სომხეთში.

1900-1902 წლებში ს. შაუმიანი სწავლობს ბერლინის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და რევოლუციურ მუშაობას ეწევა ქ. ბერლინში. რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის იგი მალე გამორიცხეს ინსტიტუტიდან და გადმოასახლეს კავკასიაში. დაბრუნდა რა თბილისში, ი. სტალინთან, ლ. კეცხოველთან, ბ. ყუნიანცთან და სხვებთან ერთად ს. შაუმიანი დაუღალავ მუშაობას ეწევა ლენინური „ისკრის“ გარშემო ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციების დარაზმვისათვის. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით 1902 წელს შეიქმნა სომხეთის პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი“, რომელიც შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შემადგენლობაში.

1902 წლის დამლევს ს. შაუმიანი საზღვარგარეთ მიემგზავრება და სწავლას აგრძელებს ბერლინის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე. იგი ღრმად ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, ამასთან დიდ მუშაობას ეწევა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციებში. ემიგრაციაში ყოფნისას, 1903 წლის გაზაფხულზე, ს. შაუმიანი პირადად გაეცნო ვ. ი. ლენინს. ამ დროიდან იწყება მათ შორის სისტემატური მიწერ-მოწერა, რომელიც ს. შაუმიანის სიკვდილამდე არ შეწყვეტილა.

1904 წლიდან ს. შაუმიანი კვლავ თბილისია. იგი ი. ბ. სტალინთან და მ. ცხაკაიასთან ერთად სათავეში უდგება ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, მონაწილეობს და ხელმძღვანელობს გაზეთების „პროლეტარიატის ბრძოლის“, „კავკასული რაბოჩი ლისტოკის“, „ბაკინსკი პროლეტარის“ და სხვ. მუშაობას.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ს. შაუმიანი ფართო მუშაობას ეწევა მასებში პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებათა გასატარებლად; ზშირად გამოდის კრებებსა და მიტინგებზე: თბილისსა და ერევანში, ალექსანდროპოლში და ალავერდის სპილენძის მადაროებში, სომხეთის სასოფლო რაიონებში.



როგორც კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების დელეგატი, ს. შაუმიანი მონაწილეობს პარტიის IV და V ყრილობების მუშაობაში, სადაც იგი ყველა საკითხში მტკიცედ იცავს ლენინურ ხაზს.

1907 წლიდან პარტიის გადაწყვეტილებით ს. შაუმიანი სამუშაოდ იგზავნება ბაქოში და ი. ბ. სტალინთან ერთად სათავეში უდგება ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას.

1911 წელს ს. შაუმიანი აქტიურად მონაწილეობს რსდმპ პრაღის (VI) კონფერენციის მოწვევისათვის მზადებაში, მაგრამ იგი დაეპატიმრეს და გადაასახლეს ასტრახანში. პრაღის პარტიულმა კონფერენციამ დაუსწრებლად აირჩია ს. შაუმიანი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. გადასახლებაში ს. შაუმიანი უკავშირდება ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, რაზმავს ასტრახანელ მუშებს, მჭიდრო კავშირს ამყარებს გაზეთ „პრავდასთან“.

ს. შაუმიანი ჩვენი პარტიის დიდ თეორიულ ძალას წარმოადგენდა. „თეორიული მარქსიზმის ძმიმე არტილერია“, როგორც წერდა მის შესახებ ს. ორჯონიკიძე, იგი ყოველთვის პირდაპირ ურტყამდა მარქსიზმის მტრებს, ოპორტუნიზმის პოზიციებიდან ნებით თუ უნებლიეთ გადახვევის ყოველგვარ ცდებს.

1914 წლის ზაფხულში ს. შაუმიანი ხელმძღვანელობდა ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშათა საყოველთაო გაფიცვას, რომელიც ხასიათდებოდა დიდი ორგანიზებულობით, ხანგრძლივობითა და სიმტკიცით. ბაქოს მუშათა მედგარმა ბრძოლამ მრეწველების წინააღმდეგ მთელი რუსეთის პროლეტარიატის ყურადღება მიიპყრო.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ს. შაუმიანი თანმიმდევრულად იბრძოდა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლენინური ლოზუნგის განხორციელებისათვის, რისთვისაც იგი 1916 წელს კვლავ დაეპატიმრეს და გადაასახლეს სარატოვში, სადაც მას მოუსწრო თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ.

1917 წლის 6 მარტს ს. შაუმიანი, გადასახლებიდან მომავალი, დაუსწრებლად იქნა არჩეული ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ. დაბრუნდა რა ბაქოში, იგი სათაეში უდგება და ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის.

1917 წლის ივნისში ს. შაუმიანი, როგორც ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს დელეგატი, მონაწილეობდა საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობის მუშაობაში, ქ. პეტროგრადში. ყრილობამ იგი აირჩია საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. მრავალი წლის განშორების შემდეგ პეტროგრადში ს. შაუმიანი ხვდება პროლეტარული რევოლუციის ბელადს ვ. ი. ლენინს, დაწვრილებით აცნობს მას ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობას და ანდობს სახელმძღვანელო მითითებებს მომავალი საქმიანობის შესახებ.

პარტიის VI ყრილობაზე ს. შაუმიანი არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. ყრილობის ცოტა ხნის შემდეგ იგი შეჰყავთ ცენტრალური კომიტეტის ვიწრო შემადგენლობაში და მონაწილეობს ცენტრალური კომიტეტის მიერ ვ. ი. ლენინის ცნობილი წერილების განხილვაში შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

1917 წლის ოქტომბრის დასაწყისში ს. შაუმიანი ხელმძღვანელობდა პარტიის ამიერკავკასიის I სამხარეო ყრილობის მუშაობას, გამოვიდა მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ და დაასაბუთა მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის მიერ ძალაუფლების აღების აუცილებლობა.

1917 წლის 16 დეკემბერს ს. შაუმიანი სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნულ იქნა ამიერკავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად; იგი უღმობლად ამხილებდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, მჭიდროდ თანამშრომლობდა ამიერკავკასიისა და ბაქოს პროლეტარიატს ბოლშევიკების პარტიის გარშემო. „აღტაცებული ვართ თქვენი მტკიცე და გაბედული პოლიტიკით“, — სწერდა ვ. ი. ლენინი შაუმიანს 1918 წლის 14 თებერვალს. მუშათა დეპუტატების ბაქოს საბჭოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ბურჟუაზიის აღშფოთება გამოიწვია. ამიტომ 1918 წლის მარტის ბოლოს მუსაოვატელებმა საბჭოს წინააღმდეგ ამბოხება მოაწყეს. ბაქოს პროლეტარიატმა ს. შაუმიანის ხელმძღვანელობით საკადრისი პასუხი გასცა მეამბოხეებს. საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში კიდევ უფრო განმტკიცდა. ამის შედეგი იყო, რომ 1918 წლის 25 აპრილს ბაქოში შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭო ს. შაუმიანის თავმჯდომარეობით.

ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ მოკლე ვადაში უმნიშვნელოვანესი სოციალისტური ღონისძიებანი განახორციელა. ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატი ს. შაუმიანის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძოდა ამიერკავკასიის ყველა მშრომელის ინტერესებისათვის, საბჭოთა რუსეთთან კავშირის განმტკიცებისათვის. ამიერკავკასიის ამ უდიდეს საამრეწველო ცენტრში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მხარისათვის, არამედ მთელი რუსეთის მებრძოლი პროლეტარიატისთვისაც, რომელიც ამ დროს სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული. ამიტომ იყო, რომ ბაქოს ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს იცილებოდნენ თურქეთ-გერმანიის კოალიცია და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები.

1918 წლის 25 ივლისს მეწმენდეებმა და ესერებმა შეძლეს ბაქოს საბჭოს მღელვარე სხდომაზე გაეტარებინათ თავიანთი რეზოლუცია ინგლისელთა ჯარების მოწვევის შესახებ. ს. შაუმიანი მტკიცე პროტესტით გამოვიდა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. 31 ივლისს ბაქოს სახკომსაბჭოს ს. შაუმიანის მეთაურობით რწმუნება მოიხსნა და ასტრახანში გაემგზავრა, მაგრამ ისინი გზიდანვე დააბრუნეს ინგლისელებმა და დაპატიმრეს.

ბაქოს პროლეტარიატი ყოველივეს ხედავდა ს. შაუმიანის სახელმუშათა კლასის განთავისუფლებისათვის, კომუნიზმისათვის თავდადებულ მებრძოლისა და ხელმძღვანელს. ამიტომ იყო, რომ კონტრრევოლუციის აღვირახსნილი თარეშის პირობებშიც 1918 წლის 28 აგვისტოს იგი, პატიმრობაში მყოფი, დაუსწრებლად იქნა არჩეული ბაქოს საბჭოს დეპუტატად.

14 სექტემბერს ბაქოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ შეძლო ს. შაუმიანი სხვა კომისრებთან ერთად გაეთავისუფლებინა (ციხიდან) და გაეგზავნა ასტრახანში. გზაზე ინგლისელთა სურვილისამებრ გემს მიმძართულება შეუცვალეს კრასნოვოდსკში მიიყვანეს და ბაქოს კომისრები იმიერკავკასიის კონტრრევოლუციურ მთავრობას გადასცეს. აქ ინგლისელმა იმპერიალისტებმა და მათმა ესერ-მენშევიკმა მსახურებმა 1918 წლის 2 სექტემბერს ღამით, კრასნოვოდსკიდან 207 კილომეტრზე ქურდულად, ავზაკურად მოჰკლეს ს. შაუმიანი მის 25 თანამებრძოლთან ერთად.

სტეფანე გიორგის-ძე შაუმიანის ცხოვრება და მოღვაწეობა მუშათა კლასის განთავისუფლების დიადი საქმისათვის სამსახურის შთამაგონებელი მაგალითია, ამტკიცებს, რომ საბჭოთა ხალხი წმიდანაბავს მის უკვდავ ხსოვნას.

ნ. ზველიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

წიგნი კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ფილოსოფიური რევიზიონიზმის ლენინური კრიტიკის შესახებ

ახლახანს საუკუნე გავიდა ვ. ი. ლენინის ნაწარმოების „მარქსიზმისა და ევოლუციონიზმის“ გამოქვეყნებიდან. ამ შრომას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ევოლუციონიზმის ყოველგვარ გამოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ცოტა ხნის შემდეგ, 1909 წელს გამოვიდა ვ. ი. ლენინის ნომბილი წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომელშიც იდეურად ერის განადგურებული ფილოსოფიური ევოლუციონიზმი. შემოქმედებითი მარქსიზმის ამ კლასიკურ ნაშრომებს მარადიოდენ ისტორიული მნიშვნელობა ექნებ. ისინი ამჟამადაც ორგანულად ერთიან დაკავშირებული საერთაშორისო ბრძოლათა მოძრაობის სასიცოცხლო ამოცანებთან და წარმოადგენენ მახვილ იარაღს ბელ ჯერის იდეალიზმის, თანამედროვე ფილოსოფიური რევიზიონიზმის წინააღმდეგ. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ ადევნებს ჩვენი საზოგადოებრიობა შეუფერებელი ინტერესით თვალს რევიზიონიზმის ლენინური კრიტიკისადმი მიძღვნილ მეცნიერულ ნაშრომებს. მათ ოიცხეს ეკუთვნის თბილისის სტალინის ახელობაა სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის მ. ჭელიძის წიგნი „მახიზმის კრიტიკა ვ. ი. ლენინის მიერ“, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა.

წიგნის შესავალ ნაწილში ავტორი ახასიათებს ისტორიული ვითარებას, რომელსაც დაიწერა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ცნობილია, რომ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ევოლუციის მერყევი თანამგზავრები პროლეტარიატის მტრების ბანაკში ვადაარგდნენ. მათ დაიწყეს აღვირახსნილი ამოსვლები იდეოლოგიურ ფრონტზე. წეროდნენ მარქსიზმის რევიზიას. რევიზიონისტებმა ბრძოლის მთავარ ობიექტად აირჩიეს მარქსისტული ფილოსოფია, ვინაიდან სოციალიზმის გამარჯვების იდეა ლოგიკურად გამომდინარეობს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმიდან.

ფილოსოფიური რევიზიონიზმი სერიოზულ ზიანს აყენებდა მუშათა მოძრაობას როგორც რუსეთში, ისე საერთაშორისო მასშტაბით, საჭირო იყო მისი ფუძეური განადგურება, მარქსისტული ფილოსოფიის სიწმინდის დაცვა. ეს ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა ვ. ი. ლენინმა ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

ავტორი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მახიზმი, რომელიც რუსეთში დასავლეთ ევროპიდან შემოიჭრა, წარმოშვა XIX საუკუნის 70-იან წლებში და იმთავითვე იყო ფილოსოფიური რეაქცია მარქსიზმის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ.

ეხება რა მახიზმის ფილოსოფიურ-ისტორიულ ფესვებს, ავტორი აღნიშნავს, რომ მახიზმი, როგორც სუბიექტური იდეალიზმის ერთ-ერთი სახეობა, უშუალოდ უკავშირდება XVIII საუკუნის რეაქციონერი ფილოსოფოსის ჯორჯ ბერკლის სუბიექტურ-იდეალისტურ მოძღვრებას (იხ. შრომა, გვ. 33), განსეოლოგიაში კი აგრძელებს იუმის ხაზს.

ავტორი ახასიათებს მახის, ავენარიუსის და რუსი ემპირიოკრიტიკოსების შეხედულებებს შემეცნების თეორიის საკვანძო საკითხებზე, აშკარავებს მახისტური განსეოლოგიის სუბიექტურ-იდეალისტურ, აგნოსტიკურ ბუნებას. წიგნში ნაჩვენებია პოზიციების მკვეთრი განსხვავება ემპირიოკრიტიციზმსა და დიალექტიკურ მატერიალიზმს შორის შეგრძნების, ზოგადის, ჭეშმარიტების და სხვა პრობლემების გაგებაში.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს „ფიზიკური იდეალიზმის“ ლენინურ კრიტიკას. ამ საკითხს დათმობილი აქვს ცალკე თავი, სადაც უწინარეს ყოვლისა ლაპარაკია „ფიზიკური იდეალიზმის“ წარმოშობის მიზეზებზე და გამოვლენის ფორმებზე. როგორც ცნობილია, მახიზმმა გამოიყენა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ბუნებისმეტყველების ახალი აღმოჩენები, დაუკავშირდა „ფიზიკურ იდეალიზმს“ და გააჩაღა ბრძოლა მატერიალიზმის „გასამთლებლად“. ფიზიკურმა იდეალისტებმა წამოიყენეს „ატომის დემატერიალიზაციის“, „მატერიის გაქრობის“ აბსოლუტურად ყალბი პრინციპი, ფიზიკა კრიზისს განიცდიდა.

წიგნის ავტორი მკითხველისათვის გასაგებს ხდის დიდ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა ვ. ი. ლენინის ბრძოლას „ფიზიკური იდეალიზმის“ წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინმა გააკამტვერა ფიზიკური იდეალისტების ყველა არგუმენტი, განაზოგადა მეცნიერების უახლესი მონაპოვრები და გვიჩვენა, რომ მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპზე დგომა იხსნის ფიზიკას კრიზისისაგან, ხოლო დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოადგენს მეცნიერული აზროვნების ჭეშმარიტ მეთოდოლოგიურ დასაყრდენს.

ნაშრომის მომდევნო ნაწილში ავტორი ეხება მახისტური სოციოლოგიის რეაქციულ არსს.

ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ წარმოადგენს არა მარტო მახიზმის იდეური განადგურების, არამედ მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ბრწყინვალე ნიმუშს. ვ. ი. ლენინმა თავის ნაშრომში განაკითარა სამყაროს მატერიალურობის, ყოფიერების პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის, სამყაროს შეცნობადობის პრინციპები. მან მოგვცა მრავალი უძვირფასესი განმარტება, გამოიკვლია ბევრი სპეციალური საკითხი, რაც მანამდე დაუმუშავებელი იყო მარქსისტულ ფილოსოფიაში. წიგნის „ავტორი ფართოდ ეხება ვ. ი. ლენინის მიერ მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების საკითხს.

მ. ჭელიძის ნაშრომის დასკვნით ნაწილში ლაპარაკია მახიზმის ლენინური კრიტიკის მნიშვნელობაზე თანამედროვე რეაქციული იდეალისტური მიმდინარეობის, განსაკუთრებით პრაგმატიზმისა და ლოგიკური ემპირიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მ. ჭელიძის წიგნი „მახიზმის კრიტიკა ვ. ი. ლენინის მიერ“ უდავოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ნაშრომი დაზღვეული არ არის ზოგიერთი ნაკლოვანებისაგან.

კარგი იქნებოდა ავტორს უფრო მეტად გაემახვილებინა ყურადღება იმ მჭიდრო იდეურ კავშირზე, რომელიც არსებობს მახიზმსა და უახლეს ფილოსოფიურ რევიზიონიზმს შორის. აქ, ცხადია, საკმარისი არ არის სიტყვიერი განცხადება ამ კავშირის არსებობის შესახებ. საჭირო იყო თანამედროვე ფილოსოფიური რევიზიონიზმის არსის მხილება, ამ მხრივ ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება ვ. ი. ლენინის გენიალურ ნაშრომს „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომელიც დებულებები საეს ბინარჩენებენ უდიდეს ძალას და ცხოველმყოფელობას უახლესი ფილოსოფიური რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნაშრომში მკრთალად არის განხილული დროისა და სივრცის, მიზეზობრიობის, აუცილებლობისა და თავისუფლების საკითხები. სუბიექტური იდეალისტები, ემპირიოკრიტიკოსები და მათი თანამედროვე მიმდევარნი ხელადებით უარყოფენ მიზეზობრივი, კანონზომიერი კავშირების არსებობას, მოვლენათა ვრცეულ და დროულ განპირობებულობას ობიექტურ სამყაროში, რაც დრომოჭმული ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს გამოხატავს.

წიგნში ეხედებით სტრუქტურული ხასიათის ნაკლოვანებებსაც. კერძოდ, ნაშრომში ჯერ ლაპარაკია პლეხანოვის მიერ მახიზმის კრიტიკაზე, შემდეგ კი მახიზმის ფილოსოფიურ წინამძღვარებზე და საერთოდ მახიზმზე. მკითხველისათვის აჯობებდა ჯერ მახისტური ფილოსოფიის გადმოცემა, ხოლო შემდეგ იმის გარკვევა, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა პლეხანოვს და მის ჯგუფს მახიზმთან.

ნაშრომში ეხედებით ცალკეული საკითხების განმეორებით განხილვას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებისა, მ. ჭელიძის წიგნი „მახიზმის კრიტიკა ვ. ი. ლენინის მიერ“ უდავოდ დაეხმარება მკითხველს ლენინური ფილოსოფიური მემკვიდრეობის ათვისებასა და დღევანდელ პირობებში სწორად გამოყენების საქმეში.

გ. ლუტიძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ამბები ადგილებიდან

მრავალსართულიანი უნივერმაღი

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტის კავკასიის ფილიალის მუშაკთა ჯგუფი — არქიტექტორები ფ. ფოცხიშვილი და გ. ფოცხიშვილი, ტექნოლოგი ვ. ივანოვი აპროექტებენ დიდი, მრავალსართულიანი უნივერმაღის შენობას, რომელსაც 300 სავაჭრო ადგილი ექნება. მისი აგება განზრახულია ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების შესაყარში.

პროექტში გათვალისწინებულია ვაჭრობაში ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის შესაძლებლობანი, გამოყენებული იქნება ესკალატორები, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობა მომხმარებლისათვის კულტურული მომსახურების გასაწევად.

აგურის მექანიზებული ქარხანა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატის აგურის მექანიზებული ქარხანა.

ახალი ქარხანა ერთ-ერთი უდიდესია ქუთაისში. იგი აღჭურვილია უახლესი დანადგარებითა და მექანიზმებით. ქარხანაში დადგმულია მძლავრი წნეხები და ავრეკატები, მოწყობილია 14-კამერიანი ღუმელი და სტელაჟებიანი ბუნებრივი საშრობი, რომელიც ერთდროულად 150 ათას ცალ აგურს იტევს. ნედლი აგურის გადაზიდვისა და მისი საშრობიდან გადმოზიდვისათვის მოეწყო საბაგირო გზა. აგურის ახალი მძლავრი მექანიზებული ქარხანა მშენებლებს წლიურად მიაწვდის 3 მილიონ ცალ მაღალხარისხოვან აგურს.

მექანიკური პურსაცხობი

ფოთი. (საკ. კორ.). ჭალადიდი დიდი სოფელია. მას აქვს საავადმყოფო, კლუბი, საშუალო სკოლა, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა კულტურული და სამეურნეო დაწესებულებები. წელს მოხდა ძველი პრიმიტიული პურსაცხობის რეკონსტრუქცია. დაიდგა მექანიზმები, რომლებმაც შეამსუბუქეს შრომა. საცხობი ყოველდღიურად 3 ტონაზე მეტ მაღალხარისხოვან პურს უშვებს.

შეშა თბილისისათვის

თელავი. (საკ. კორ.). ტრესტ „ობილხე-ტყის“ დამზადების თელავის განყოფილება ყოველწლიურად ზრდის თბილისისათვის შეშის მიწოდებას. წელს დამზადებულია და დანიშნულებისამებრ იგზავნება რვა ათასი კუბური მეტრი მაღალხარისხოვანი შეშა. წლის ბოლომდე დამატებით ორი ათას კუბმეტრზე მეტი შეშა დამზადდება.

თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად

ჩვენი დედაქალაქი და ჩვენი დედაენა

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ჭაბუკ დედაქალაქს ათასხუთასი წელი უსრულდება. ათასხუთასი წელი ისტორიის საკმაოდ დიდი მონაკვეთია. ათასხუთასი წლის მანძილზე არა ერთი ქვეყანა აღორძინებულა და კიდეც დამხობილა, არა ერთი ქალაქი, ოდესღაც აყვავებული, ნაქალაქარად ქცეულა, არქეოლოგების საძებარი გამხდარა.

ათასგვარ მეხისტეხასა და ქარიშხალს გადაუვლია თბილისის თავზე, არა ერთხელ წაქცეულა იგი და კვლავ ამდგარა, და — ჭრაველ ჭირნახულს — მოუღწევია ჩვენს დრომდე, როცა სოციალისტური წყობილების დროს იგი გაიზარდა და დამშვენდა ისე, როგორც წინათ არასოდეს.

პოეტის სიტყვები: „გწვავდნენ და არ იწვებოდი, ცეცხლში დიდების მხვეჭელი“-ო, ისევე შეიძლებოდა გვეთქვა თბილისის მრავალსაუკუნოვან წარსულზე, როგორც ქართველი ხალხის მოუსვენარსა და სახელოვან ისტორიაზე.

თბილისის ისტორია ქართველი ხალხის ისტორიას ასახავს და უკუფენს. თბილისის დღესასწაული ქართველი ხალხის დღესასწაულია.

დღეს, როცა თბილისს იუბილეს ვუხდით, მისი ერთი ღირსშესანიშნავი თვისებაც არ შეიძლება არ ვახსენოთ: ქართული ქალაქი — თბილისი — ინტერნაციონალური ტრადიციების ქალაქი იყო და არის. და ეს როდია შემთხვევითი: ქართველ ხალხს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა მოძმე ხალხებს, ის სასახელო თვისება ჰქონდა და აქვს, რომ **თავისი კარგი** უყვარს და სხვისას პატივისცემით ეკიდება.

საახელოვანია თბილისის წარსული; მშვენიერია მისი აწმყო; საიმედო — მომავალი.

ჩვენი დედაქალაქის ისტორია ჩვენი დედაენის ისტორიისაკენ მიმართავს ყურადღებას. ჩვენს დედაენასაც დიდი ხნის, მდიდარი და სახელოვანი ისტორია აქვს. სულ მცირე ორი ათასი წელია, რაც ქართული სიტყვა ისმის. ხოლო ათასხუთას წელზე მეტია გასული მას შემდეგ, რაც ქართული სიტყვა — ჩვენი ცნობილი მწერლის თქმისა არ იყოს — ულამაზესი ქართული ასოებით აღიბეჭდა (ქართული წარწერა ბოლნისის სიონზე 493 წლისა ოქროყოფილი ლამაზი მრგვლოვანი ხელით არის შესრულებული: ჯერ ხნობით არ არის ნაპოვნი უფრო ძველი წარწერა).

ქართულ ენაზე თხუთმეტი საუკუნის მანძილზე მდიდარი მწერლობა შეიქმნა.

საუკუნეთა მანძილზე დედაქალაქი თბილისი ქართველი ხალხის პოლიტიკური ერთიანობის ცენტრს წარმოადგენდა. დედაენა — ქართული ენა — კულტურული ერთობისა და ეროვნული მთლიანობის შეგნებას ასახიერებდა. ქართული სალიტერატურო ენა აერთიანებდა ქართველობას მაშინაც, როცა საქართველო დაქუცმაცებული იყო, და ეკონომიკაც ამის გამო ერთიანობას ხელს ვერ შეუწყობდა. ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია თელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა, — იქნება ეს ქართველი — ხევსური თუ სვანი, კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი... თვით დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოშიც კი სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ არც მეგრელებსა და არც სვანებს.

ქართული სალიტერატურო ენა ერთად ერთი ეროვნული ენაა მთელი ქართველობისათვის; ასე იყო წარსულში და მით უფრო ასეა ახლა, როცა საბჭოთა საქართველოში სოციალისტურ ქართველ ერში შედუღებულია, როგორც ქართველობის განუყრელი ორგანული ნაწილი, მეგრელი, ჭანი და სვანი ისევე, როგორც ქართლელი, კახელი, აჭარელი, თუში...

დიდმა ქართველმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა **დედა-ენა** უწოდა იმ წიგნს, რომელსაც ყოველი კუთხის ქართველი ბავშვი, — სვანი ისევე, როგორც ფშაველი, მეგრელი ისევე, როგორც აჭარელი, ქართლელი და კახელი... — იღებს პირველად ხელში, რომ ერთიანი, ნაციონალური ქართული ენაც დაეუფლოს, — დაეუფლოს იმ ენას, რომლითაც ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ შექმნეს ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუშები, — იმ ენას, რომელიც განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა საბჭოთა დროის სახელოვანი ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების შემოქმედების წყალობით. „ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, ოქროს ხმიან სიმებად გულში ამოხლართული“...

* * *

თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია ქართული სალიტერატურო ენისა, მთელი ქართველობის დედა-ენისა, ეხმაურება დედაქალაქის თხუთმეტსაუკუნოვან ისტორიას და ჩვენი ქვეყნის მდიდარი ისტორიული წარსულის მიღწევათა გამოყენებით ჩვენი თანამედროვე სოციალისტური ცხოვრების შემდგომი ალმავლობისაკენ მოგვიწოდებს.

არნ. ჩიქობავა,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ერეკვნული ბიბლიოთეკა

საჩუქრად იუგილარს

დიდი შრომითი აღმავლობაა საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის მექანიკური ქარხნის მხატვრულ-კერამიკულ საამქროში. კერამიკოსებმა უკვე დაამზადეს 21 სახის მხატვრულ-კერამიკული ნაწარმი, რომელთა შორისაც გამოირჩევა გემოვნებით გაკეთებული ღვინის სერვიზი, სხვადასხვა მოცულობის სურები, ჭიჭილები, დეკორატიული ვაზა „ფლორა“ და სხვ. მათ ამშვენებს წარწერა „თბილისი 1500 წლისაა“.

მოწონების ღირსია საიუბილეო საჩუქრად დამზადებული ორი დიდი დეკორატიული ვაზა სახელწოდებით „თბილისი“ და „საქართველო“. ისინი შესრულებულია მხატვრების მ. კობიაშვილის და მ. აბაშიძის მიერ. პირველ ვაზას ერთ მხარეზე ამშვენებს ფუნიკულორის პლატოს და მთავრობის სახლის ხედი, ხოლო მეორეს — ძველი თბილისის კოლორიტული სურათები. ვაზა „საქართველოზე“ პოეტურად გადმოცემულია თბილისის დაარსების ლეგენდა.

მხატვარი ლ. ყიფიანი მუშაობს დეკორატიული ვაზის გაფორმებაზე ვახტანგ გორგასალის ქანდაკების გამოსახულებით, რომელსაც ამ დღეებში დაამთავრებს.

სურათზე: ვაზა „თბილისი“.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საერთაშორისო მიმოხილვა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე დამთავრდა საერთო დისკუსია და დელეგატებმა დაიწყეს სესიის დღის წესრიგის საკითხების განხილვა პოლიტიკურ, სპეციალურ პოლიტიკურ და 5 სხვა კომიტეტში. ამრიგად, მთავარი მუშაობა ჯერ კიდევ წინ არის. მაგრამ უკვე ახლა შეიძლება გავიკითხოთ ზოგიერთი დასკვნა სესიაზე ძალთა განაწილებისა და თანაფარდობის შესახებ.

სესიის გახსნიდან 5 დღის შემდეგ ცნობილი ამერიკელი მიმომხილველი ჰამილტონი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ფურცლებზე მიესალმა ამერიკის შეერთებული შტატების „პირველ გამარჯვებებს“ და განაცხადა, რომ ეს გამარჯვებები „ცმაყოფილებას იწვევენ“. საქმე ეხებოდა, ჯერ ერთი, იმას, რომ შეერთებულმა შტატებმა ხმის უმნიშვნელო უმრავლესობით მოახერხეს სესიის თავმჯდომარის პოსტზე დაყენებინათ თავიანთი აგენტი ლიბანელი შარლ მალიქი, და, მეორე, იმას, რომ გენერალურ კომიტეტში უარყოფილ იქნა ინდოეთის წინადადება: განეხილათ ახლანდელ სესიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი.

მაგრამ სესიის მუშაობის შემდგომმა მსვლელობამ დალესის პოლიტიკის პროპაგანდისტთა ოპტიმიზმის ქვალიც ადარ დატოვა. თუმცა თვით ჰამილტონიც, მიესალმებოდა რა ამერიკის დელეგაციის „პირველ გამარჯვებებს“, წინდახედულად იძლეოდა გაფრთხილებას, რომ, „შესაძლოა, შეერთებული შტატების წინაშე წამოიჭრას სიძნელეები, როცა გაჩაღდება ასამბლეის მუშაობა“.

ჰამილტონის „წინაგრძნობა“ დადასტურდა კენჭისყრის დროს ასამბლეის პლენარულ სხდომაზე ინდოეთის წინადადების გამო — განხილულიყო ახლანდელ სესიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის საკითხი. თუმცა შეერთებულმა შტატებმა მოახერხეს ჩაეფუშათ ინდოეთის წინადადება, მაგრამ ამერიკის პოლიტიკას — არ დაუშვას ჩინეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სერიოზული ბზარი დაეტყო. „ეს კენჭისყრა, — წერდა გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანი“, — ცუდი ნუგეშია ამერიკის ოფიციალური პირებისათვის. იგი მოწმობს, რომ... მკვეთრად შემცირდა წითელი ჩინეთის მიმართ ამერიკის საერთო პოლიტიკის მხარდაჭერა“.

ამ დასკვნამდე ეს და ბევრი სხვა ბურჟუაზიული გაზეთი მივიდნენ უწინარეს ყოვლისა კენჭისყრის შედეგების ანალიზის საფუძველზე: ამერიკის რეზოლუციის ძირითადმა პუნქტმა (არ შეეტანათ ახლანდელი სესიის დღის წესრიგში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი) სულ 40 ხმა მიიღო, ე. ი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა ხმების ნახევარზე ნაკლები; ინდოეთის წინადადებამ კი მიიღო 29 ხმა. ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის დამცველებმა გაიხსენეს, რომ 1953 წელს ასამბლეის სესიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის უფლებათა აღდგენას ხმა მისცა მხოლოდ 10 დელეგაციამ.

სესიაზე ფორმალური საპროცედურო საკითხის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის პუნქტის დღის წესრიგში შეტანის შესახებ არსებითად გადაიქცა შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების მთელი პოლიტიკის მრისხანე დაგმობის დემონსტრაციად. 30 ქვეყნის წარმომადგენლებიდან მხოლოდ ინგლისის, კანადის, თვითონ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატებმა და ჩანკაიშელმა გაილაშქრეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაშვების წინააღმდეგ, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების დანარჩენმა მოკავშირეებმა და ვასალებმა ტრიბუნაზე გამოსვლაც კი ვერ გაბედეს, ამჯობინეს რა თავიანთი ამერიკელი ბატონებისათვის ლაჩრულად ჩუმად მიეცათ ხმა, ვიდრე თავიანთი პოზიციები აშკარად დაეცვათ.

შეაჯამა რა დისკუსიის შედეგები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხზე, იაპონურმა გაზეთმა „მაინიციმ“ აღნიშნა, რომ შეერთებული შტატებისათვის წლითიწლობით სულ უფრო ძნელია უზრუნველყოს ხმის საჭირო უმრავლესობა, რათა ხელი შეუშალოს ჩინეთს დაიკავოს თავისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

კიდევ უფრო შორს მიმავალ დასკვნებამდე მივყავართ საერთო დისკუსიაში საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე გამოსვლების ანალიზს, რომელიც დაიწყო 18 სექტემბერს და დამთავრდა 7 ოქტომბერს. დისკუსიის პირველსავე დღეს სესიის დელეგატებმა მოისმინეს სსრ კავშირის წარმომადგენლის ა. ა. გრომიკოს და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის დალესის სიტყვები. ორივე სიტყვაში აისახა ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობის დარგში. მთელი მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის აღიარებით, საბჭოთა დელეგაციამ წარმოადგინა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ბაზაზე საერთაშორისო დაძაბულობის ლიკვიდაციისა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის დონისძიებათა ფართო რეალისტური პროგრამა. დალესის გამოსვლა კი, წარმოადგენდა ყველასათვის დიდი ხანია ცნობილი ყალბი არგუმენტების მოსაბეზრებელ გამეორებას „ომის ზღვარზე“ პოლიტიკის გასამართლებლად; სიტყვაში, რომელიც ვაშინგტონის პოლიტიკურ კრედოს წარმოადგენდა, მშვიდობის უზრუნველყოფის კონსტრუქციულ წინადადებათა ნასახიც არ ყოფილა.

რაზე ლაპარაკობდნენ საერთო დისკუსიის დროს ასამბლეის დელეგატები? უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ასეთი ფაქტი: იმ ქვეყნების დელეგაციებმაც კი, რომლებიც ჩვეულებრივ აქტიურად ამართლებდნენ და იცავდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე ამჯობინეს არ გამოეხატათ პირდაპირ თავიანთი თვალსაზრისი დალესის სიტყვაზე. საკმარისი იქნებოდა ერთი ხელის თითები, რომ ჩამოგვითვალა დელეგაციები, რომლებმაც საკმაოდ გამოუცხადეს სოლიდარობა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პლატფორმას, „მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის თავშეუკავებელი ქებით გამოვიდა კუბის წარმომადგენელი, უფრო ზუსტად ბატისტას სისხლისმღვრელი დიქტატორული რეჟიმის წარმომადგენელი. კიდევაც რომ! ეს რეჟიმი ხომ დიდი ხანია აღგვილი იქნებოდა კუბელი ხალხის მიერ, მისთვის რომ მხარი არ დაეჭიროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. განსაკუთრებული გულმოდგინება გამოიჩინეს აგრეთვე ესპანეთის ფრანკისტული მთავრობის, დომინგოს რესპუბლიკის დელეგატებმა. მაგრამ მათი გამოსვლები გაისმა როგორც „უცხო ხმის“ — ამერიკული ხმის სიტყვები. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ პარტნიორს აგრესიულ ატლანტიკის ბლოკში, ისინი, გამოდიოდნენ რა დალესის პოლიტიკის დასაცავად, ზოგჯერ ფრიად სერიოზულ შენიშვნებს აკეთებდნენ. რამდენად ერთგულია შეერთებული შტატებისა ჰოლანდია, მაგრამ მისმა წარმომადგენლებმაც ვერ გაბედეს ასამბლეაზე დაეცვათ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ახლო და შორეულ აღმოსავლეთში.

განსაკუთრებით საგულისხმო იყო ლათინური ამერიკის ქვეყნების მთელი რიგი დელეგატების გამოსვლები. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ისინი ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე თავგამოდებული ადვოკატები იყვნენ? განა დიდი ხანია, როცა მათ სიტყვებს ვისმენდით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ გამოდიოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელეები? ახლა მათი გამოსვლები სულ სხვა ხასიათისა იყო. მართალია, არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი აშკარად, მთელი ხმით აცხადებდნენ, რომ არ ეთანხმებიან ვაშინგტონის პოლიტიკას. მაგრამ ისინი არც ამართლებდნენ და არც იცავდნენ ამ პოლიტიკას.

ლათინური ამერიკის დელეგატთა უმრავლესობა თავის გამოსვლებში მთავარ ყურადღებას აქცევდა საკუთარ საჭიროებებს, იმას, რომ საჭიროა აღმოიფხვრას დაბრკოლებანი, რომლებიც ბოჭავენ მათ ეკონომიურ განვითარებას. ამ გამოსვლებში გამოიხატა უკმაყოფილება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკით, რომელიც მიზნად ისახავს სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა ეკონომიურ და პოლიტიკურ დამონებას. ეს უკმაყოფილება ღღითიღღე იზრდება ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ბევრი ამ სახელმწიფოს წარმომადგენელთა გამოსვლებისათვის დამახასიათებელი იყო მოწოდება გამალებული შეიარაღების შეწყვეტისადმი, მშვიდობიანი თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისადმი.

დამთავრებული საერთო დისკუსიის უმნიშვნელოვანესი მიზანი იყო ახლისა და აფრიკის ქვეყნების გაზრდილი აქტივობა. ამ ქვეყნების, მაგ. შორის ინდოეთის, ინდონეზიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ერაყის, კამბოჯის წარმომადგენელთა გამოსვლები გაისმა როგორც ორი კონტინენტის ხალხთა მტკიცე და მრისხანე პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა დიდი კოლონიური სახელმწიფოების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ხალხების წარმომადგენლები მოითხოვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, იმპერიალისტური აგრესიის დაუყოვნებლივ შეწყვეტას ახლო და შორეულ აღმოსავლეთში, თავისუფლებას ალჟირელი ხალხისათვის, ეკონომიურ დახმარებას სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის.

საერთო დისკუსიამ ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რა უდიდეს გავლენებას მიაღწია ახლისა და აფრიკის ხალხთა ანტიიმპერიალისტურმა ბრძოლამ. ახლისა და აფრიკის ქვეყნების მთელი რიგი დელეგატების გამოსვლებმა ცხადყო ავრეთვე მათი შეხედულებების დამთხვევა სსრ კავშირის შეხედულებებთან ბევრ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე, კერძოდ ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის პრობლემაზე, როგორც პირველ ნაბიჯზე განიარაღების ყველა სხვა საკითხის გადაჭრისათვის.

ახლა ასამბლეის კომიტეტებში იწყება ამ პრობლემების განხილვა. საბჭოთა კავშირმა უკვე წარუდგინა სესიას კონკრეტული ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც ნაკარნახევია მისი მისწრაფებით დაეხმაროს სესიის მონაწილეებს გამონახონ შეთანხმებული გადაწყვეტილებანი ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ჩვენი ქვეყნის ამ კეთილშობილურ მისწრაფებებს, როგორც საერთო დისკუსიამ ცხადყო, მხარს უჭერენ არა მარტო სოციალისტური ქვეყნები, არამედ ბევრი სხვა სახელმწიფოც, რომელიც დაადგა ან ადგება დამოუკიდებელი მშვიდობის მოყვარული საგარეო პოლიტიკის რელსებს.

ი. მაზორი.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული მოქმედების გამო. სურათზე: ამერიკის სამხედრო ხომალდზე, რომელიც ახლავს კუნძულ ძინმინდაოსაკენ მიმავალ ჩანკაიშელთა ხომალდების რაზმს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს გრძანება

პეკინი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ დღეს გამოსცა ბრძანება ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებისადმი ფუძიანის ფრონტზე. ქვემოთ მოყვანილია ბრძანების სრული ტექსტი:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს ბრძანება.

ამხანაგებო ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიიდან ფუძიანის ფრონტზე!

დღეიდან, კიდევ ორი კვირით შეწყვიტეთ ძინმინდაოსათვის ცეცხლის დაშენა, რათა ვნახოთ, თუ რის გაკეთებას აპირებს მოწინააღმდეგე მხარე და რათა მივცეთ შესაძლებლობა ჩვენს თანამემამულეებს — როგორც სამხედროებს, ისე სამოქალაქოებს — ძინმინდაოზე მიიღონ საკმაო მარაგი, მათ შორის სურსათი და სამხედრო საჭურველი, რათა განიმტკიცონ მდგომარეობა.

ომში კარგია ყოველგვარი მოტყუება, მაგრამ ეს მოტყუება არ არის. ეს მიმართულია ამერიკელთა წინააღმდეგ. ეს კეთილშობილური საერთო ეროვნული საქმეა და საჭიროა ზუსტად განვასხვაოთ ჩინელები და ამერიკელები. მთლიანად ჩვენი ეს მოქმედება ზიანს არ გვაყენებს ჩვენ, მაგრამ სასარგებლოა სხვებისთვის. ვისთვის არის იგი სასარგებლო? იგი სასარგებლოა 10 მილიონი ჩინელისათვის ტაივანზე, პენხულედაოზე, ძინმინდაოსა და მაძუდაოზე, იგი სასარგებლოა მთელი ჩვენი ქვეყნის 650 მილიონი ადამიანისათვის; მას ზიანი მოაქვს მხოლოდ ამერიკელებისათვის.

ზოგიერთ კომუნისტს შესაძლოა ჯერ კიდევ არ ესმის ეს. საიდან გამომდინარეობს ეს: „ჩვენ არ გვესმის! ჩვენ არ გვესმის!“ ამხანაგებო! რამდენიმე ხნის შემდეგ თქვენ გაიგებთ. ამერიკელები ტაივანზე და ტაივანის სრუტეში შინ უნდა წავიდნენ. მათ არა აქვთ აქ დარჩენის მიზეზი. ჩვენ უარს არ მივიღებთ.

ჩინელთა შორის ტაივანზე პენხულედაოზე, ძინმინდაოსა და მაძუდაოზე უმრავლესობა პატრიოტებია და მხოლოდ რამდენიმე მოღალატეა. ამიტომ უნდა ვაწარმოოთ პოლიტიკური მუშაობა, რათა საშუალება მივცეთ იქ მცხოვრებ ჩინელთა უდიდეს უმრავლესობას თანდათანობით გამოიღვიძონ და გაეთიშონ ერთ მუჭა მოღალატეებს. რამდენიმე საათისა და დღის მუშაობის შემდეგ საგრძნობი იქნება შედეგი.

რამდენადაც გომინდანს ტაივანზე ჯერ არ დაუწყია ჩვენთან მშვიდობიანი მოლაპარაკება და შემუშავებული არ არის გონივრული მოწესრიგება, სამოქალაქო ომი ჯერ კიდევ გრძელდება. ტაივანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბრძანებები საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ კომუნისტების ფანდიაო. მართალია, რომ საომარი მოქმედება წყდებოდა და კვლავ იწყებოდა, მაგრამ ეს ფანდი არ არის. თუ თქვენ არა გსურთ მშვიდობიანი მოლაპარაკება, საომარი მოქმედება გარდუვალია. სანამ ასეთ ჯიუტ პოზიციას იდგახართ, როგორც ახლა, ჩვენ უფლება გვაქვს ვიბრძოლოთ, როცა გვსურს ბრძოლა, და შეეწყვეტოთ საომარი მოქმედება, როცა გვსურს მისი შეწყვეტა.

ამერიკელებს სურთ მონაწილეობა მიიღონ ჩვენს სამოქალაქო ომში. ისინი ამას ცეცხლის შეწყვეტას უწოდებენ. ეს მხოლოდ სიცილს იწვევს. რა უფლება აქვთ ამერიკელებს აღძრან ეს საკითხი? საკითხავია, ვისი წარმომადგენლები არიან ისინი? ისინი არავისი წარმომადგენლები არ არიან. შესაძლოა ისინი ამერიკელთა წარმომადგენლები არიან? ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის არ არის ომი და ამიტომ არ არის ცეცხლი, რომლის შეწყვეტაც შეიძლებოდეს. იქნებ ისინი ტაივანზე მყოფი ხალხის წარმომადგენლები არიან? ტაივანის ხელისუფალთ მათთვის არავითარი რწმუნება არ მიუციათ. გომინდანელთა ხელმძღვანელები მთლიანად ეწინააღმდეგებიან ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკებას. ამერიკელი ერი დიდი ერია და ამერიკელი ხალხი გამსჭვალულია კეთილი ზრახვებით. მას არა სურს ომი. იგი მიესალმება მშვიდობას. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მუშაკთა შორის არიან ადამიანები, როგორც, მაგალითად, დალესი და მისი მსგავსნი, რომლებიც ამდენად წესიერები არ არიან. აიღეთ მაშინ, მაგალითად, მოლაპარაკება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. განა აქ საკმაო საღი აზრია?

დაიბრუნოს ტაივანი, პენხულედაო, ძინმინდაო და მაძუდაო, ერთად აღებული, და დაამთავროს სამშობლოს გაერთიანება, ასეთია ჩვენი 650-მილიონიანი ხალხის წმიდათაწმიდა ამოცანა. ეს ჩინეთის საშინაო საქმეა და არც ერთ უცხოელს არა აქვს ჩარევის უფლება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციასაც არა აქვს ჩარევის უფლება.

შორს არ არის ის დრო, როცა აგრესორები და მათი დამქაშები მთელ მსოფლიოში დასამარებულ იქნებიან. ისინი ამას ვერ აიცდენენ. მათ ისიც კი არ უშველის, რომ მთვარეზე დაიმალონ. სადაც მტერი შეძლებს გავლას იქ ჩვენც შეეძლები გავლას და იქიდან მის განდევნას. ერთი სიტყვით, გამარჯვება მთელი მსოფლიოს ხალხს ეკუთვნის. ამერიკელებმა არ უნდა განახორციელონ საესკორტო ოპერაციები ძინმინდაოს წყლებში. თუ იქნება რაიმე საესკორტო ოპერაცია, დაუყოვნებლივ დაიწყება ცეცხლის დაშენა. ეს ბრძანება ზუსტად უნდა შესრულდეს.

პენ დე-ხუაი,
ეროვნული თავდაცვის მინისტრი.
1958 წლის 13 ოქტომბერი.

ტაივანის საკითხი თვით ჩინელებმა უნდა გადაწყვიტონ

პეკინი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გაზეთმა „ჟენმინ ჟიბაომ“ გამოაქვეყნა მოწინავე სტატია, რომელიც ეხება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პინ დე-ხუაის მიმართვას თანამემამულეებისადმი ტაივანზე. სტატიაში ნათქვამია: უკვე ექვსი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა პინ დე-ხუაიმ გამოაქვეყნა მიმართვა თანამემამულეებისადმი ტაივანზე. თანამემამულეთა — სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო მოსახლეობის ფართო ფენები ტაივანზე, პენხულედაოზე, ძინმინდაოსა და მაძუდაოზე სიხარულით შეხვდნენ ამ მიმართვას. ადამიანებს ერთხელ კიდევ ჩაეხსახათ გულში მშვიდობიანი მოწესრიგების იმედი. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ტაივანის ხელისუფალთა აშკარა გამოხმაურება ამ მიმართვაზე სერიოზული და გულწრფელია. ისინი ავრცელებენ სხვადასხვა ვერსიას, ამტკიცებენ, მაგალითად, თითქოს აღნიშნული მიმართვა არის „მოტყუება“, რომ იგი ნავარაუდევია, თითქოს, „შესვენებისათვის ახალი შეტევის წინ“, რომ მიმართვა* ნაკარნახევია „უსიტყვო კაპიტულაციის“ მიღწევის ცდით და სხვ. და სხვ.

ყველას, ხაზგასმით აღნიშნავს „ჟენმინ ჟიბაო“, ვინც საფუძვლიანად გაიაზრა ახლანდელი საკითხი, ადვილად შეუძლია დაინახოს, რომ ეს წინადადება არ არის „მოტყუება“, რამდენადაც არტილერიის სროლა ნამდვილად შეწყვეტილია; ეს აგრეთვე არ არის „შესვენება“. რისთვის სჭირდება „შესვენება“ ძლევამოსილ სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას, რომელმაც წარსულ პერიოდში მხოლოდ ნეკი გაანძრია? ეს აგრეთვე „არ ისახავს მიზნად უსიტყვო კაპიტულაციის მიღწევას, რადგან თავდაცვის მინისტრმა ძალიან გარკვევით და მკაფიოდ თქვა თავის მიმართვაში, რომ „ჩვენი წინადადებაა დაიწყოს მოლაპარაკება მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით“. როგორ შეიძლება ლაპარაკი „უსიტყვო კაპიტულაციაზე“, როცა საქმე ეხება „მოლაპარაკებას“ და არა იძულებასა და ბრძანებას, როცა საქმე ეხება „მშვიდობიან მოწესრიგებას“ და „არა მოწესრიგებას“ ძალის გამოყენების გზით, ხოლო ეს შესაძლო გახდება, რა თქმა უნდა, თუ იქნა ორივე მხარის გულწრფელი სურვილი. ადამიანთა მეხსიერებაში, ალბათ, ჯერ კიდევ არ წაშლილა ის ფაქტი, რომ ორი წლისა და სამ თვეზე მეტი ხნის წინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ მთელი სერიოზულობით განაცხადა: „ყველა პატრიოტს, იმისდა მიუხედავად, თუ როდის შევიდნენ ისინი პატრიოტთა რიგებში და როგორი მძიმეც უნდა იყოს მათი დანაშაულობანი წარსულში, ჩვენ ვეპყრობით პრინციპის შესაბამისად „ყველა პატრიოტი ერთი ოჯახია“ და არ დავსჯით მათ წარსულისათვის, ჩვენ მივეალმებით მათ დამსახურებას ტაივანის მშვიდობიანი განთავისუფლების საქმეში, დამსახურებისამებრ დავჯილდოებთ და უზრუნველვყოფთ შესაბამისი სამუშაოთი“.

შემდეგ „ჟენმინ ჟიბაო“ წერს, რომ ჩინეთის საშინაო საქმეები უნდა გადაწყვიტოს თვით ჩინელმა ხალხმა. სამოქალაქო ომი ჩინეთში წარმოებდა 30 წლის მანძილზე, რომლებმაც, გარდა ერთი-ორი წლისა, ჩაიარა ფიდ და პატარა ბრძოლებში, ეს არის ჩინეთის საშინაო საქმე, რომელშიც ჩარევის უფლება არა აქვს არც ერთ უცხო სახელმწიფოს.

რაკი დალესი ამბობს, რომ ხელს შეუწყობს „სამართლიანობის განხორციელებას და მტკიცე მშვიდობის მიღწევას“, დაე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაამტკიცოს თავიანთი სიტყვების გულწრფელობა იმით, რომ შეასრულონ შემდეგი პირობები, სახელდობრ: შეწყვიტონ ჩინკაიშელთა გემების ბიდრაგობა, აღარ შემოიჭრნენ ჩინეთის მატერიკის ნაწილის ტერიტორიულ წყლებსა და ტერიტორიულ საჰაერო სივრცეში, შეწყვიტონ სამხედრო პროვოკაციები და ომის მუქარა, შეწყვიტონ ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევა, გაიყვანონ მთელი შეიარაღებული ძალები ტაივანიდან და პენხულედაოდან. თუ ეს პირობები არ შესრულდა, აღნიშნავს „ჟენმინ ჟიბაო“, როგორლა შეიძლება ლაპარაკი „სამართლიანობისა და მტკიცე მშვიდობის განხორციელებისათვის ხელშეწყობაზე“? ჩინეთს სურს აწარმოოს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორ ქვეყანას შორის არსებული დავის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით. ასეთი მოლაპარაკება წარმოებს ვარშავაში. ამჟამად საკითხი ის არის, რომ გულწრფელად ესწრაფვიან თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები დავის გადაჭრას. ხუთი ზემოაღნიშნული პირობის შესრულება ამერიკის შეერთებული შტატების გულწრფელობის გამოცდაა.

ტაივანის, პენხულედაოს, ძინმინდაოსა და მაძუდაოს საკითხი შეიძლება ყოველმხრივ გადაიჭრას მშვიდობიანი გზით. ეს საკითხი თვით ჩინელების საშინაო საქმეა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესია

სსრ კავშირის დელეგაციის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მემორანდუმის გამო ლიბანიდან ჯარების გაყვანის შესახებ

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიის მონაწილე დელეგაციებს დაუგზავნა თავისი 1958 წლის 29 სექტემბრის მოხსენების დამატების სახით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მემორანდუმი ლიბანიდან ჯარების გაყვანის შესახებ.

ამ მემორანდუმში ნათქვამია, რომ ლიბანიდან ამერიკის ჯარების გაყვანა ნავარაუდევია დამთავრდეს ოქტომბრის დამლევს, „თუ არ მოხდა გაუთვალისწინებელი ამბები“.

ამასთან დაკავშირებით გუშინ საბჭოთა დელეგაციამ გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე გააკეთა შემდეგი განცხადება:

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მემორანდუმში მოყვანილი შენიშვნა სრულიად არაორაზროვნად ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლაც ზოგიერთს ჯერ კიდევ არ აუღია ხელი ამერიკის ჯარების მიერ ლიბანის ოკუპაციის განგრძობის გეგმებზე. განა ცხადი არ არის, რომ როცა ლიბანში არიან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები და ამერიკის ოფიციალური წარმომადგენლები განუწყვეტლივ ეძევიან ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში ახლანდელ მთავრობის მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ, მუდამ არსებობს შესაძლებლობა შექმნან ასეთი „გაუთვალისწინებელი“ გარემოებანი.

შემთხვევითი როდია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აღნიშნულ განცხადებასთან ერთად გამოქვეყნდა ცნობები იმის შესახებ, რომ ამერიკის ჯარების ზოგიერთი ნაწილი შესაძლებელია უნდა დარჩნენ ლიბანში 31 ოქტომბრის შემდეგაც და რომ ეს შეიძლება გამოწვეული იყოს „ამერიკელთა სიცოცხლისა და ქონების დაცვის“ საჭიროებით. კვლავ იყენებენ კოლონიზატორთა ძველ ხერხს — ჯერ გამოიწვევენ არეულობას, ხოლო შემდეგ გზავნიან ჯარებს თავიანთი ემისრების „დასაცავად“.

ამრიგად, უკანონოდ შეიყვანეს რა ლიბანში ჯარები სხვადასხვა ყალბი საბაბით, ამერიკის შეერთებული შტატები ახლა კვლავ ეძებენ სულ ახალ და ახალ საბაბს, რათა გაამართლონ თავიანთი აგრესიული მოქმედება ახლო და შუა აღმოსავლეთში, რომელიც პირდაპირ საფრთხეს უქმნის არაბთა სახელმწიფოების უშიშროებას, რომლებიც დამოუკიდებელი, ეროვნული განვითარების გზას დაადგნენ.

საჭიროა დაუყოვნებლივ შესრულდეს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის რეზოლუცია ამის შესახებ, რომ მალე იქნენ გაყვანილი ამერიკის ჯარები ლიბანიდან და ინგლისის ჯარები იორდანიიდან. რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესია მშვიდობის საქმისათვის ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ახალი სერიოზული გაფრთხილება

პეკინი, 12 ოქტომბერი. (საკდესი) სინხუას სააგენტო გადმოგვცემს: 12 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ ორი სამხედრო ხომალდი და ორი ავიაგამანადგურებელი შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში და ტერიტორიული წყლების საჰაერო სივრცეში ფუძიანის პროვინციის პინტანისა და მაძუდაოს რაიონებში. ამერიკის შეერთებული შტატების ამ პროვოკაციულ მოქმედებასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს დავალებული აქვს გააკეთოს 29-ე სერიოზული გაფრთხილება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაუშვეს რაკეტა მთვარის მიმართულებით

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები კანავერალის კონცხიდან (ფლორიდის შტატი) იუწყებიან, დღეს 8 საათსა და 42 წუთზე გრინვიჩის დროით (11 საათსა და 42 წუთზე მოსკოვის დროით) ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა გაუშვეს რაკეტა მთვარის მიმართულებით.

რაკეტის სიგრძეა 88,1 ფუტი, მას აქვს სამი საფეხური და მიაქვს ცხვირის ნაწილში 85 გირვანქა წონის ხელსაწყოთა მარგი ტვირთი.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება: „მეცნიერები, რომლებიც გაშვების მომზადებაში მონაწილეობდნენ, მიზნად არ ისახავდნენ მთვარეზე მოხვედრას. იძლეოდნენ რა გაფრთხილებას მეტად დიდი მოლოდინისაგან, მათ თქვეს, რომ მაქსიმუმ, რის იმედიც შეიძლება ვიქონიოთ, ის არის, რომ მარგი ტვირთი მოხვდეს ზონაში მთვარისაგან 50 ათასი მილის მანძილზე და, შესაძლოა, გავიდეს ორბიტაზე მის გარშემო.

რაკეტაში არის სხვადასხვა ხელსაწყო.

ვაშინგტონში ავიაციის სამინისტრომ, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია კანავერალის კონცხთან, გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ კანავერალის კონცხზე (ფლორიდის შტატი) ატლანტიკის რაკეტული პოლიგონიდან სამსაფეხურიანი ექსპერიმენტული კოსმოსური ყუმბარის გაშვება მოახდინეს სამხედრო-საჰაერო ძალებმა აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის გამოკვლევის ეროვნული სამმართველოს ხელმძღვანელობით. პატარა კოსმოსური ყუმბარა გაშვებულია უადამიანებოდ.

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება:

პენტაგონმა (ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყება. — რედ. შენიშვნა) დღეს გამოაცხადა, რომ ამერიკის რაკეტა თავის ფრენაში მთვარისაკენ გამოვიდა დედამიწის მიზიდულობის სფეროდან და „მოძრაობს კურსზე დაახლოებით დაგეგმილი სიჩქარით“.

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია: „მიღებული მონაცემების გაშიფრვა გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. მაგრამ საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ არსებობს ბევრი სიძნელე და ჩამორჩენა ამ მონაცემების ანალიზის დროს“.

ვაშინგტონი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). თავდაცვის სამინისტროს ცნობის თანახმად, მთვარის მიმართულებით გაშვებული ამერიკული რაკეტა „პიონერი“ 7 საათსა და 47 წუთზე მოსკოვის დროით იმყოფებოდა დაახლოებით 77.740 მილ სიმაღლეზე.

სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის ცნობაში აღნიშნულია, რომ „პიონერი“ არ გახდება მთვარის „ახლო მეზობელი“.

პენტაგონის (ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყება. — რედ.) მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ მონაცემები „რომლებიც ჰაეის სამეთვალყურეო სადგურმა მიიღო, აგრეთვე ადასტურებს, რომ ტრაექტორიის გადახრის შედეგად „პიონერი“ არ გახდება მთვარის ახლო მეზობელი“.

ლონდონი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც პრეს ასოშიეიშნის სააგენტო იუწყება, პროფესორმა ლოველმა, „ჯოდრელ ბენკის“ სამეცნიერო-საკვლევი სადგურის დირექტორმა, რომელიც აწარმოებს დაკვირვებას მთვარის მიმართულებით გაშვებულ ამერიკულ რაკეტაზე, განაცხადა, რომ თანახმად გამთანგარიშებისა, ამერიკული რაკეტა ამჟამად უკან ბრუნდება დედამიწაზე. ლოველის აზრით, მაქსიმალური სიმაღლე, რომელსაც რაკეტამ მიაღწია, შეადგენს 80.000-90.000 მილს.

უცხოეთის ქრონიკა

⊙ ლიბანის მთავრობის წარმომადგენელმა საკდესის კორესპონდენტს ბეირუთში განუცხადა, რომ ხმები, რომლებსაც ლიბანის რეაქცია და ზოგიერთი ბურჟუაზიული სააგენტო ავრცელებენ ქარამეს მთავრობის გადადგომის შესახებ, არ შეესაბამება სინამდვილეს. რაშიდ ქარამეს მთავრობას არ უთხოვია თავისი გადადგომა ლიბანის პრეზიდენტისათვის და იგი კვლავ ხელისუფლების სათავეშია.

⊙ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობიდან 12 ოქტომბერს ბერლინში დაბრუნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტი და პრემიერ-მინისტრი ო. გროტეველი.

⊙ რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დაკიდან (აღმოსავლეთ პაკისტანი) იტყობინება:

12 ოქტომბერს დაკაში დააპატიმრეს პაკისტანის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჩოუდჰური, აგრეთვე მისი რამდენიმე ყოფილი თანამშრომელი და პოლიტიკური მოღვაწეები. აღმოსავლეთ პაკისტანის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო მათ ბრალად სდებს კორუფციას.

⊙ როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კარაჩიდან იუწყება, პაკისტანის ყველა პოლიტიკური პარტიის დაშლის შემდეგ პაკისტანის ბანკებს მიეცათ მითითება გაყინონ პოლიტიკური პარტიების ანგარიშები. პარტიების შენობები დახურეს და დალუქეს. გრძელდება პოლიტიკურ მოღვაწეთა დაპატიმრება.

⊙ როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, 12 ოქტომბერს ქალაქ ორანის (ალჟირი) სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა სამ ალჟირელს.

⊙ 9 ოქტომბერს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა რომის პაპი პიუს XII.

სპორტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდიაში რამდენიმე დღეა გრძელდება მატჩი მსოფლიო პირველობაზე ხაერთაშორისო (ასუჯრედოვან) შაშში საბჭოთა გროსმაისტერ ი. კუპერმანსა და კანადელ მსოფლიო ჩემპიონ მ. დელორიეს შორის. ხუთი ტურის შემდეგ მატჩის ანგარიშია 2,5 : 2,5.

სურათზე: ი. კუპერმანი და მ. დელორიე პარტიის თამაშის დროს.

XIII საშაადრაკო ოლიმპიადაზე

მიუნხენი, 13 ოქტომბერი. ეროვნული მუზეუმის დიდ დარბაზში გრძელდება XIII საერთაშორისო საშაადრაკო ოლიმპიადის ფინალური ტურნირი. პირველ ტურში საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებს. მატჩის ანგარიშია 2 : 2.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მატჩის ... ოთხივე პარტია ყაიმით დამთავრდა. მეო... რე ტურში საბჭოთა კავშირის გუნდი... წინააღმდეგ თამაშობდა გერმანიის ფედ... რაციული რესპუბლიკის მოჭადრაკეთ... კოლექტივი. შეხვედრის ანგარიშია 2 : 1... საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ... (ერთი პარტია გადაიდო).

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე

გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები ფეხბურთში. მოსკოვში ადგილობრივმა „სპარტაკმა“ ანგარიშით 4 : 1 დაამარცხა კრასნოიარსკის „ლოკომოტივი“. ტაშკენტის „პახტაკორმა“ თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „დინამო“. შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 2 :0. მოსკოვის „ლოკომოტივი“ შეხვდა ორენბოვო-ზუევოს „ზნამია ტრუდას“ ფეხბურთელებს და მოიგო მატჩი — 2 : 1. მოსკოვის „ტორპედომ“ დიდი ანგარიშით — 6 : 1 დაამარცხა ლენინგრადის „ადმირალტეეცი“.

„ა“ კლასი

12 ოქტომბერი. გუშინ კიევში ფეხ... ბურთში საკავშირო პირველობის მორიგ... მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო“ და ლენინგრადის „ზენიტი“... შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 1 : 1.

„ბ“ კლასი“

12 ოქტომბერს თბილისის სკკ-ს გუნ... დმა თავის მინდორზე მიიღო კრასნოდა... რის „ყუბანი“. მატჩი მოიგეს სტუმრებ... მა — 2 : 0. ამ გამარჯვებით კრასნოდარის... „ყუბანმა“ განმტკიცა ლიდერობა „ბ“ კლასის მეოთხე ზონის გუნდებს შორის.

ორიოდე სიტყვით

★ მიმდინარე შემოდგომაზე თბილისის გამწვანების ტრესტმა უკვე დარგო 23.000 ხე და ბუჩქი — კედარი, ფიჭვი, ჭადარი, კვიდო, ბზა, გრაკლა და სხვ. მარტო სამრეწველო გამოფენის ტერიტორიაზე დარგო 100-ზე მეტი ძირი მაგნოლია. ქალაქში ირგვება აგრეთვე 300.000-ზე მეტი ძირი ყვავილი.

★ თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული არიან ვარშავაში შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი პიანისტი ნ. შტარკმანი, ლატვიის სსრ სახალხო არტისტი მომღერალი ქალი ელერმენ გეინე-ვაგნერი, აგრეთვე ებრაული სიმღერებისა და მუსიკალური მინიატიურების შემსრულებელი ანა გუზიკი. ფილარმონიის საზაფხულო თეატრში წარმატებით გამოდის რიგის სიმფონიური ორკესტრი, რომლის ხელმძღვანელია რინგოლდ ორე.

ა. გ. თავაძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ამბროსი გიორგის-ძე თავაძემ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მხატვრული სახის პრობლემა (ზოგიერთი საკითხის ლოგიკურ-ისტორიული ანალიზი“).

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა ა. გ. თავაძისათვის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ესპანელი მეგადელი, **გრიბოედოვის სახელობის**—სიბარულის ძიებაში, **რკინიგზელთა სახლი**—კომბლე (მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — რევოლუციის სახელით (აბ. № 45 ., 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მშვენიერი ვასილისა (10 ს.). **თოჯინების ქართული** — ტყის მეგობრები (11 და 2 ს.). **თოჯინების რუსული** — ცეროდენა (10 ს.), ჭარიყლაპიას ბრძანებით (1 ს.). **ფილარმონიის საზაფხულო** — შემოქმედებითი შეხვედრა რიგის და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრებისა, **ცირკი** — ქართული ცირკის მსახიობების გამოსვლა, **სანაულტურის** — უკვდავნი.

კინოთეატრებში

ამირანი (საზამთრო) — უზბეკეთის კინოფილმების ფესტივალი, **ოქტომბერი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, თბილისი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — შავკაბიანი ქალიშვილი, **ამირანი** (საზაფხულო), **ისანი** (საზაფხულო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — რაზმი აგრძელებს ბრძოლას, **კომკავშირელი** — მზის ჩასვლის წინ, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, კომუნარების ბაღი** — დედის გული, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — აქტრისა, **საქართველო** (საზაფხულო) — ლეგენდა სიყვარულზე, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ბალერინას ბედი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი, ვაკის პარკი** — ჩემი ძვირფასო ადამიანო, **კიროვის სახელობის პარკი** — ფატიმა, **კოლმეურნე, ყაზბეგი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — სიყვარულის დაფდაფები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1) ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე შედგება დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების რესპუბლიკური კონფერენცია.

დღის წესრიგი: 1. დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის მიერ 1955-1958 წ. წ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში (მომხსენებელი პროფესორი ვ. მ. კაკაბაძე), 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. დ. მელიქაძე), 3. არჩევნები: ა) საქართველოს რესპუბლიკური გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, ბ) საქართველოს სა... მეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათ... რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატების, გ) მენდელეევის მე-8 ყრილობის დელეგატებისა.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები იუწყებიან

ქრისტინე თადოს ასულ ხორავას

გარდაცვალებას.

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის მუშაკები იუწყებიან

ქეთევან არკადის ასულ ჭანტურიშვილი-გენძეხაძის

გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამშრომლები იუწყებიან

ივანე გრიგოლის-ძე მაისურაძის

გარდაცვალებას.

კაპიტალისტური „სამოთხის“ სურათები

ამერიკის შეერთებული შტატები. ქალაქ ატლანტის (ჯორჯიის შტატი) ერთ-ერთ ქუჩაში ტროტუარზე ზის ქალი ბავშვებით თავისი ღარიბული საოჯახო ბარგის ნაშთებთან. უმუშევარ კარტერის ცოლი ქმრითა და ხუთი შვილით ქუჩაში გაგდებულია იმისათვის, რომ შვიდი დღით დააგვიანა ბინის ქირის გადახდა. როცა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მისის კარტერს ესაუბრა, მასთან მხოლოდ პატარა ბავშვები იყვნენ. მათი მამა და დანარჩენი უფროსი ბავშვები წასული იყვნენ სამუშაოს საძებნელად.

იაპონიაში ბევრი მშობელი მოკლებულია შესაძლებლობას მოათავსოს შვილები ბაგებში, რადგან საბავშვო დაწესებულებები ძალზე ცოტაა. ბაგების უმრავლესობას არა აქვს საჭირო მოწყობილობა.

სურათებზე: (მარცხნივ) ტოკიოს საბავშვო ბაგაში. შვიდ ბავშვს ერთ საწოლზე სძინავს; (ზემოთ) უმუშევარ კარტერის ცოლი პატარა ბავშვებით.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა და ჯაპან პრესისა.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: